საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 7 სექტემბერი. 2017 წ. №181 (8318), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ლია მუხაშავრია:

ექსტრადირების მოთხოვნა ფარსია?!

პროკურატურამ სააკაშვილი გააფრთხილა



3

ნინო ბურჯანაძე:

ყოველ არჩევნებზე გვეძახიან, რომ სააკაშვილი მოდის

3

ზაზა ფაჩულიას მეოთხე შვილი შეეძინა!

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანს ზაზა ფაჩულიას მეოთხე შვილი — ნუცა შეეძინა. საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების წევრებმა კაპიტანს შვილის შეძენა სპეციალური ვიდეოთი მიულოცეს.

ზაზა ფაჩულიას და მის მეუღლეს ახლა ბიჭი და ორი გოგონა ჰყავთ.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია უერთდება ზაზას თანაგუნდელთა სიხარულს და გულწრფელად ულოცავს ჩვენს სახელოვან სპორტსმენს და მამულიშვილს მეოთხე შვილის შეძენას... როგორც პოეტი ამბობს „მოდის საქართველო სულ თქვენი ჯიშისა, რომ მტერი ვერაგი კვდებოდეს შიშისგან“...

ეს ოთხი და სხვა მრავალი, ძვირფასო ზაზა!

რატომ დაერია მილიონერი ბიზნესმენი უმწეო, მარტოხელა, ინვალიდ პენსიონერებს?!

„ენგურის“ გამო დაპირისპირების ცეცხლი გიზგიზებს

6

ყურძენი ბევრია, მყიდველი ჯერ პასიურია

7

ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების სუთეულშია რუსეთი, ჩინეთი, უკრაინა, ყაზახეთი და პოლონეთი

ოი, დედანო, მარად ნეტარნო!..

მშვენიერებით გასხივოსნებული ლეგენდა ნატო ვაჩნაძე

5

◎ ანტირეკლამა

ბაქრაძის ტელერეკლამების გამო,

ანუ ვისთვისაც პოლიტიკა მეწველი ძროხაა

„ევროპულ საქართველოდ“ გადანათლული ძველცოდოებაკიდებული, უნამუსო, დამნაშავე და მავნებელი ნაციონალები პოლიტიკური ყალთაბანდის, მუქთა ცხოვრებას მიჩვეული დავით ბაქრაძის ამირსპასალარობით ძალაძ-ძალაძ, სოფელ-სოფელ დაძრწიან და ტყუილების გუდას გზადაგზა ცლიან.

ამ წინასაარჩევნო დღეებში ყველა არხის ეკრანზე ბაქრაძე ცოცხალ ტელერეკლამად იქცა. რა ენაღვლება, ვინ ამოწმებს?! აფრქვევს და აფრქვევს ტყუილი დაპირებების ჭურვებს... ასე ცხოვრება აღარ შეიძლებაო, რას ჰგავს ჩვენი დედაქალაქი, ამის მომვლელად მე მხოლოდ ჩვენი ელენე ხოშტარია მესახებაო, ჩვენი ქალაქის მოვლის გარდა, იმას მივაღწევთ, რომ ამჟამინდელი ბიუროკრატიის ფუფუნების შეკვეცა-შემცირების ხარჯზე — ეს პრემიებიო, ეს დანამატებიო, ეს ძვირად ღირებული მანქანებიო — ოთხას მილიონზე მეტი ფული გამოვათავისუფლოთ, პენსიები 20-50 ლარით გავზარდოთ და ყველა გაჭირვებულს სოციალური დახმარება დავუნიშნოთო...

ეს ის ბაქრაძეა, გულუბრყვილო ამომრჩეველო, რომლის პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს იმის ოჯახობას ცა შლაპად არ მიაჩნდა და დედამიწა ფაჩუჩებად, მარტო მობილური ტელეფონით სახელმწიფოს ხარჯზე ერთი თვის ნალაპარაკევი თითქმის იმდენივე ჯდებოდა, რასაც მთელი პარლამენტის წევრთა ნალაპარაკევი. ესე იგი, რამდენიმე ათეული ათასი. და ასე გრძელდებოდა არა ერთი და ორი წელიწადი. თვითონ თავმჯდომარის ნალაპარაკებსაც თუ მივათვლით, ოჯახის სხვა წევრებს თავი დავანებოთ, წარმოიდგინე, რა თანხა უჯდებოდა ჩვენს ისედაც გაღლეტილ საქართველოს ამ „წყვილი მტრედის“ ყოველდღიური ჟღურტულ-ღუღუნი.

ნურც იმას დაივიწყებ, გულუბრყვილო ამომრჩეველო, რომ იმ წლებში დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ უდიდეს ბანკში ბაქრაძის სახელზე თითქმის მილიონი გირვანქა სტერლინგი აღმოჩნდა, რაც თვითონ პარლამენტის თავმჯდომარემ ასე ახსნა: ეს ფული ჩემი ცოლის მამამ თავის შვილიშვილებს, ანუ ჩემს შვილებს აჩუქაო, სახლ-კარი გაყიდა და მთელი ფული დიდ ბრიტანეთში გადაუნახაო...

აი, სიმამრი თუ ბაბუა როგორი უნდა!

და აი დგას ეს ვითომ პარტიაგამოცვლილი, შუმი ნაციონალი, რომელსაც ყველაფერი ნამამაძაღლარი ჯერჯერობით ხახვივით შერჩა და ისევ ხელისუფლებისკენ, როგორც მეწველი ძროხისკენ, ისე მიიწევს.

ალბათ, ბაქრაძისთანა ცრუპენტელა, თაღლით პოლიტიკოსებზე უთქვამთ — მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ და მიჩვეულს ნუ გადააჩვევო.

ახლა ჯერი შენზეა, გულუბრყვილო ამომრჩეველო, ბაქრაძის გაუთავებელ ტყუილებს ნუღარ დაუჯერებ და, ბოლოს და ბოლოს, შენი მტკიცე, პრინციპული პოზიციით მუქთახორული ცხოვრების პოლიტიკას იძნებ როგორმე გადააჩვიო, თანაც ისე და იმ დონეზე, რომ ბაქრაძისთანებისთვის, ისინი კი მრავლად არიან, სათვალმჩენო და ჭკუის სასწავლებელი გახდეს.

გურამ წიკლაური

პრემიერ-მინისტრმა ჩაკრაბარტს უმასპინძლა

საქართველოსა და EBRD-ის 25-წლიანი თანამშრომლობა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით ქვეყანაში მიმდინარე პროექტები და საქართველოს მთავრობის რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმა იყო პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და EBRD-ის პრეზიდენტ სუმა ჩაკრაბარტის შეხვედრის მთავარი თემები. EBRD-ის პრეზიდენტს, რომელიც საქართველოში უკვე მესამედ იმყოფება, პრემიერმა მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.

მთავრობის მეთაურმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს მადლობა გადაუხადა მნიშვნელოვანი მხარდაჭერისთვის, რომლის მეშვეობით ქვეყანაში 200-ზე მეტი პროექტი და დაახლოებით 3 მილიარდი ევროს ოდენობის ინვესტიცია განხორციელდა. შეხვედრისას საუბარი შეეხო EBRD-ის სტრატეგიას საქართველოსთან დაკავშირებით და აღინიშნა, რომ ის ორიენტირებულია მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის მხარდაჭერაზე, რომელიც სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას, ქვეყნის სივრცით მოწყობას, განათლების სისტემისა და მმართველობის რეფორმას გულისხმობს. ყურადღება გამახვილდა საქართველოს მიღწევებზე ინსტიტუციური და სტრუქტურული რეფორმების განხორციელების მიმართულებით, ასევე — საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის მოწინავე პოზიციებზე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა საპენსიო და კაპიტალის ბაზრის რეფორმის შესახებ, რომელიც გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და აღნიშნა, რომ საპენსიო რეფორმა 2018 წლის მესამე კვარტალიდან ამოქმედდება. ამ ეტაპზე მზადდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და საჭირო ინსტიტუციური და ტექნიკური ინფრასტრუქტურა. გიორგი კვირიკაშვილმა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად შეაფასა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ საერთაშორისო ბაზარზე ლარის ფასიანი ქაღალდების გამოშვება, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას, საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას და წაახალისებს ინვესტიციებს. მხარეებმა ასევე ყურადღება დაუთმეს EBRD-ის მხარდაჭერით შექმნილი პლატფორმის — ინვესტორთა საბჭოს საქმიანობას, რომელიც კერძო სექტორის აქტიური ჩართულობით, მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობას ისახავს მიზნად.

თეა წულუკიანი „EBRD"-ის პრეზიდენტს შეხვდა

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პრეზიდენტ სუმა ჩაკრაბარტის შეხვდა. შეხვედრა იუსტიციის სამინისტროში გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე და „EBRD"-ის დელეგაციის წევრები.

მხარეებმა ბიზნესდავებისთვის სპეციალიზებული კომერციული და საგადასახადო პალატების დაფუძნების მიზნით ჩაფიქრებული რეფორმის თაობაზე იმსჯელეს და ასევე საჭირო ფინანსურ ხელშეწყობაზე, რომელიც ამ რეფორმის წარმატებისთვის აუცილებელია. როგორც ცნობილია, იუსტიციის სამინისტრომ კომერციული და საგადასახადო პალატების შესაქმნელად რეფორმის კონცეფცია შეიმუშავა და ამ პროცესში დისკუსიებს მომავალი თვის განმავლობაში ყველა დაინტერესებულ მხარესთან გააგრძელებს.

„რეფორმის მიზანი კომერციული დავების მოგვარების საქმეში მართლმსაჯულების სისწრაფისა და ხარისხის ზრდაა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში საინვესტიციო კლიმატის მკვეთრად გაუმჯობესებას, ინვესტიციების, მათ შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, მოცულობის ზრდას და, ასევე, სამოქალაქო მოსამართლეებს განტვირთავს საქმეთა დაგროვილი მოცულობისგან", — აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კონცეფციის თანახმად, საერთო სასამართლოების სისტემაში კომერციული და საგადასახადო პალატები შეიქმნება, სპეციალური წესი შემუშავდება ისეთი მოსამართლეების შესარჩევად, რომლებიც როგორც უცხოელ ინვესტორთა მონაწილეობით დავებს, ასევე ქვეყნის შიგნით დაფუძნებული მცირე, საშუალო თუ მსხვილი ბიზნესის სასამართლო საქმეებს მაღალკვალიფიციურად განიხილავენ, პირველ ეტაპზე გადამზადდებიან ახალდანიშნული მოსამართლეები, მათ შორის, საზღვარგარეთის ქვეყნების მსგავს სასამართლოებში.

„ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ რეფორმას, რომ მე პირადად მივაქცევ ყურადღებას ამ პროცესში საქართველოსთვის ნებისმიერი მხარდაჭერის აღმოჩენის საკითხს", — განაცხადა ბატონმა სუმა ჩაკრაბარტიმ.

სამი მინისტრის დახურული შეხვედრა ბაქოში

ბაქოში დახურულ კარს მიღმა საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა გაიმართა.

ჯანელიძე-მამედიაროვი-ჩავუშოღლუს შეხვედრა საგარეო უწყებების ხელმძღვანელების სამმხრივი ფორმატის მეექვსე შეხვედრაა. დახურული შეხვედრის დასრულების შემდეგ მინისტრები მედიისთვის განცხადებას გააკეთებენ. წინასწარი ინფორმაციით, ტრადიციულ შეხვედრაზე სამი ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელი რეგიონში არსებულ ვითარებას და უსაფრთხების საკითხებს განიხილავენ.

<u>გია ვოლსკი:</u> ოპონენტებს სურთ, ხელისუფლება ხელში ჩაიგდონ ისე, რომ უმრავლესობა არ ჰქონდეთ მოპოვებული

კონსენსუსის შეუძლებლობა განაპირობა ჩვენი ოპონენტების დაუოკებელმა სურვილმა, რომ როგორმე შეინარჩუნონ პოზიცია პოლიტიკურ ველზე და ხელისუფლება ხელში ჩაიგდონ ისე, რომ უმრავლესობა არ ჰქონდეთ მოპოვებული, — ამის შესახებ მმართველი გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ განაცხადა. მისი თქმით, სამართლებრივი შენიშვნების შემთხვევაში საკონსტიტუციო საკითხებზე დაბრუნება შესაძლებელი იქნებოდა. მისივე თქმით, საკონსტიტუციო საკითხებზე გუნდშიც საკმაოდ დიდი ხანი მიდიოდა ბჭობა.

„მათ, ისევე როგორც ჩვენც, გვინდა ასეთი სერიოზული დოკუმენტი მიღებული იქნას კონსენსუსით. კონსენსუსის შეუძლებლობა განაპირობა ჩვენი ოპონენტების დაუოკებელმა სურვილმა, რომ როგორმე შეინარჩუნონ პოზიცია პოლიტიკურ ველზე და ხელისუფლება ხელში ჩაიგდონ ისე, რომ უმრავლესობა არ ჰქონდეთ მოპოვებული. ვენეციის კომისიას, რომ ჰქონდეს შენიშვნები სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რასაკვირველია, ამ თემას შესაძლებელია დავუბრუნდეთ ბევრჯერ და ჩაღრმავებულად ვისაუბროთ. ჩვენ ეროვნული ინტერესებიდან გამოვდივართ. კატეგორიულად არ ვეთანხმები, რომ ეს პროცესი დაჩქარებულად მიმდინარეობს. ნახევარ წელზე მეტია, ამ საკითხების განხილვა მიმდინარეობს. არის ქვეყნის ინტერესები და არის ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც საკუთარ ინტერესებს აყენებენ ქვეყნის ინტერესებზე მაღლა.

საკმაოდ დიდი დრო მოვანდომეთ, რომ 5 პარტიას შორის პრინციპული შეხედულებების პრინციპული გაზიარება და მხოლოდ ამის შემდეგ გადავდგით ნაბიჯები. ვჩქარობთ თუ არ ვჩქარობთ, ეს შეკითხვაც არასწორი რაკურსით ისმება. ჩვენ გვინდა ისეთი დოკუმენტის მიღება, რომელიც ჩვენ ქვეყანას გამოადგება", — განაცხადა ვოლსკიმ.

პასუხი არასამთავრობო სექტორს

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის თქმით, საკონსტიტუციო ცვლილებებზე მორიგი დისკუსია და დებატები საშემოდგომო სესიის ფარგლებში გაიმართება და სამოქალაქო საზოგადოებას, არასამთავრობო სექტორს საშუალება ექნება თვალი ადევნოს და მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში:

„საკონსტიტუციო რეფორმამ, ახალი კონსტიტუციის შემუშავების პროცესმა კანონმდებლობით და დემოკრატიული პრინციპებით დადგენილი ყველა ეტაპი გაიარა. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში ჩართული იყო არასამთავრობო სექტორი, ოპოზიციური პარტიები, სამოქალაქო საზოგადოება. იყო საჯარო განხილვები. შემდგომში იყო კონსულტაციების რამდენიმე რაუნდი ვენეციის კომისიასთან, შემდეგ პოლიტიკური განხილვები და დებატები პარლამენტში. საკონსტიტუციო ცვლილებებს მესამე მოსმენით საშემოდგომო სესიაზე განვიხილავთ. მორიგი დისკუსია და დებატები საშემოდგომო სესიის ფარგლებში გაიმართება", — განუცხადა ჟურნალისტებს არჩილ თალაკვაძემ.

არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებას მოუწოდებს საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცებამდე ვენეციის კომისიის დასკვნას დაელოდოს.

აგვისტოს შემოწირულობებმა 4,869,215.92 ლარი შეადგინა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, **აგვისტოში პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ მიღებულმა შემოწირულობებმა 4,869,215.92 ლარი შეადგინა.**

მათგან აგვისტოში ყველაზე მეტი შემოწირულება — **4,555,993.00 ლარი „ქართულმა ოცნებამ" მიიღო, „ევროპულმა საქართველომ" — 287,440 ლარი, დამოუკიდებელმა კანდიდატმა ალექსანდრე ელისაშვილმა — 9,770 ლარი, „ახალმა პოლიტიკურმა ცენტრმა — გირჩი" 7000 ლარი, ხოლო „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 5,330 ლარი.**

„რესპუბლიკელების" თბილისის სიის პირველი ნომერი ხათუნა სამნიძე იქნება

„რესპუბლიკურმა პარტიამ" ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიის პირველი ხუთეული წარადგინა.

პარტიის პირველი ნომერი ხათუნა სამნიძე იქნება. პირველი ნომრის შემდეგ მოდიან მიხეილ ჩემია, დავით ზურაბიშვილი, თამარ კორძაია და ლაშა ომარაშვილი.

პარლამენტს შუშის კონსტრუქციას მოხსნიან

ძუთაისის პარლამენტის შენობის რეაბილიტაცია იწყება. ამის შესახებ განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინდელ სხდომაზე გააკეთა. ირაკლი კობახიძის თქმით, მთლიანადაა შესაცვლელი შენობის სახურავი და შუშის კონსტრუქცია, ვინაიდან ატარებს წყალს და ვერ რეგულირდება ტემპერატურა. კობახიძის თქმით, მოსაწყობია ავტოსადგომი და გამწვანება. კობახიძე ინიციატივით გამოდის, რომ პარლამენტის შენობის მიმდებარედ მოეწყოს პარკი.

პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხაზინადართა საბჭოს მიმართავს და სთხოვს ფინანსურად შეისწავლოს საკითხი.



◎ კერძო აზრი

„ექსტრადირების მოთხოვნა ფარსია?!“

პროკურატურამ სააკაშვილი გააფრთხილა

უფლებადამცველი და იურისტი ლია მუხაშავრია „მეტრონომთან“ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შესაძლო ექსტრადირების შესახებ საკმაოდ საინტერესოდ საუბრობს. მუხაშავრიას თქმით, ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უკრაინულ მხარეს სააკაშვილის გადაცემისთვის მეორედ მიმართა და ეს საჯაროდ გაახმაურა, იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ხელისუფლებას სინამდვილეში ექსპრეზიდენტის ექსტრადირება არაფერში სჭირდება. უფრო მეტიც, იურისტის თქმით, საქართველოს პროკურატურამ, ფაქტობრივად, სააკაშვილი გააფრთხილა, რომ უკრაინაში არ შევიდეს.

„მეტრონომი“: მიხეილ სააკაშვილის დაკავების და ძებნის შესახებ საქართველოს პროკურატურამ უკრაინულ მხარეს ოფიციალურად მიმართა. თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ უკრაინამ სააკაშვილის ექსტრადირებაზე უარი ერთხელ უკვე გვითხრა. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს კიდევ ერთხელ ეს მიმართვა, მით უმეტეს, მაშინ, როცა სააკაშვილი 10 სექტემბრისთვის უკრაინის საზღვრებთან მისვლას გეგმავს?

ლია მუხაშავრია: სწორად აღნიშნეთ, რომ საქართველოს მხარემ უკრაინას ერთხელ უკვე მიმართა და მან უარი მიიღო. ახლა რა მოთხოვნაც არის გადაცემული, ახალ დასაბუთებას უნდა შეიცავდეს და მოთხოვნა ახალი არგუმენტებით უნდა იყოს განპირობებული, რადგანაც წინანდელი უარყოფითი პასუხი დადებითით შეიცვალოს.

გარდა ამისა, უკრაინის ხელისუფლება ამ მოთხოვნას იმ შემთხვევაში შეასრულებს, თუ სააკაშვილი ქვეყნის ტერიტორიაზე შევა. რა განცხადებებსაც სააკაშვილი აკეთებს, მხოლოდ ტყუილი და პიარის ნაწილია.

დარწმუნებული იყავით, რომ ის უკრაინაში არ შევა. პროკურატურის განცხადება, რომ მათ სააკაშვილის ექსტრადირების მოთხოვნით მიმართეს, დიდი ფარსის ნაწილია. ამას საქართველოს პროკურატურა აკეთებდა და აკეთებს სხვა პირების მიმართ ისე, რომ არ ახმოვანებს. წესით ასეთი მიმართვები კონფიდენციალურია.

ვხედავთ, რომ ე.წ. კანონიერი ქურდების გადმოცემის მოთხოვნით საქართველოს პროკურატურა რუსეთსაც კი მიმართავს. მეჩვენება, რომ ეს სპექტაკლია და მხოლოდ საზოგადოების ყურადღების გადატანას ემსახურება.

— წინა მოთხოვნის დროს, სააკაშვილი უკრაინის მოქალაქე იყო, შესაბამისად არგუმენტი იყო, რომ მათი მოქალაქის გადაცემა სხვა ქვეყნისთვის კანონით აკრძალულია. სააკაშვილი ახლა აღარ არის უკრაინის მოქალაქე და, შესაბამისად, ახალი დასაბუთება, ალბათ, საქართველოს პროკურატურას აღარ დასჭირდება...

— განსხვავება არის, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამაც კარგად იცოდა, რომ უკრაინა თავისი ქვეყნის მოქალაქეს არ გადასცემდა. ეს ყველა ნორმალური ქვეყნის კონსტიტუციაში არის გაწერილი. ამიტომ ის მიმართავა, რომელიც წინ გაუგზავნეს, სრულიად დაუსაბუთებელი და შეუსაბამო იყო. ახლა, ეს არის საზოგადოების თვალში ნაცრის შეყრა. დღეს სააკაშვილის ექსტრადირება იმიტომ იქნება შეუძლებელი, რომ ის უკრაინაში არ შევა.

— დავუშვათ სააკაშვილმა მაინც გარისკა და ჩავიდა. მაშინ უკრაინის პროკურატურა დააკავებს თუ არა მას, თუ არ დააკავებს, ორი ქვეყნის ურთიერთობა როგორ შეიძლება წარიმართოს? საერთოდ როგორია პროცედურები ასეთ დროს?

— საქმე ის არის, რომ საქართველოს პროკურატურამ ფაქტობრივად, მიხეილ სააკაშვილი გააფრთხილა, რომ ის უკრაინაში არ ჩავიდეს. სხვაგვარად წარმოუდგენელია, ადამიანს ეძებ და ამას მასვე აგებინებ? ლოგიკა სად არის? ეს არის მის გასაფრთხილებლად გაკეთებული განცხადება.

თორემ ამის გაკეთება ჩუმად შეეძლოთ. არ ვფიქრობ, რომ სააკაშვილის ფაქტორით, უკრაინის და საქართველოს ურთიერთობა გაფუჭდება. არც ერთი ქვეყნისთვის ის სასურველი პირი არ არის.

— ე.ი. თქვენ ფიქრობთ, რომ მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირება საქართველოს მხარეს არ სურს?

— რა თქმა უნდა, არ სურს. აბა სად გაგიგონიათ, რომ ასეთ მიმართვებს საჯაროდ აცხადებდნენ?! სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ საქართველოს ხელისუფლებას სააკაშვილის ქვეყანაში ექსტრადირება არ სურს, ეს არის ფარსი და პროკურატურამ ის გააფრთხილა, რომ ქვეყანაში არ შევიდეს. გარწმუნებთ, რომ სააკაშვილი უკრაინაში არ ჩავა, რადგანაც ის კარგად არის ინფორმირებული და იცის, რაც მოუვა.

— სააკაშვილის დაკავების შემთხვევაში, ექსტრადირების რა პროცედურები არსებობს?

— როგორც საქართველო, ასევე უკრაინაც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანაა, შესაბამისად, ექსტრადირებამდე ჯერ მისი ქვეყანაში დაკავება ხდება და სასამართლო წყვეტს, ექსტრადირებისთვის არსებობს თუ არა სათანადო ბრალდებები. სასამართლომ უნდა გადასინჯოს მოთხოვნის საფუძვლიანობა, შესაბამისად, ან დაეთანხმება ან — უარყოფს.

ელზა პაპუშვილი

ნინო ბურჯანაძე: ყოველ არჩევნებზე გვეძახიან, რომ სააკაშვილი მოდის

ან დანაშაულებრივი „ნაციონალური მოძრაობა“, ან უმაქნისი „ქართული ოცნება“. „მგელი, მგელი მოდისო“ არ იყოს, ყოველ არჩევნებზე გვეძახიან, რომ სააკაშვილი მოდის, — ამის შესახებ ნინო ბურჯანაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, „ქართული ოცნება“ სააკაშვილის ციხეში ჩასმას არ აპირებს.

„სამწუხაროდ, საქართველოში „ქართული ოცნების“ მხრიდან გრძელდება მოსახლეობის დაცინვა და ხალხის მასხრად აგდება, კომედია და ადამიანების ნერვების მოშლა. კიდევ ერთხელ აღმოჩნდა და დადასტურდა, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში „ქართული ოცნება“ ჩვენ აშკარად და ურცხვად გვატყუებდა. ყველას ძალიან კარგად გახსოვთ პრემიერ-მინისტრების, იუსტიციის მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარეების და უმრავლესობის წარმომადგენლების განცხადებები წლების განმავლობაში იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოსდა საქართველოს ხელისუფლებას გადაცემული ჰქონდა მოთხოვნა სააკაშვილის ძებნასთან და ექსტრადირებასთან დაკავშირებით. გუშინ აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ახლა საქართველოს ხელისუფლებამ თავისი მზაობა და მოთხოვნა სააკაშვილის ექსტრადირებასთან დაკავშირებით გაუგზავნა უკრაინის ხელისუფლებას. საქმე გვქონდა „ქართული ოცნების“ ტყუილებთან, საქმე გვქონდა რეალურად გარიგებასთან და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოჰაბიტაციასთან. საქმე გვქონდა იმასთან, რომ მოსახლეობის მოტყუების ხარჯზე, ხალხი ყველა არჩევნების დროს დაეშანტაჟებინათ, სააკაშვილი გამოეყენებინათ, როგორც საფრთხობელა და ადამიანები დაეყენებინათ არჩევანის წინაშე: ან დანაშაულებრივი „ნაციონალური მოძრაობა“, ან უმაქნისი „ქართული ოცნება“. ყოველ არჩევნებზე გვეძახიან, რომ სააკაშვილი მოდის. მოვიდეს და ჩასვას „ქართულმა ოცნებამ“ ციხეში, მაგრამ „ქართული ოცნება“ მის ციხეში ჩასმას არ აპირებს. არც არავითარი სურვილი აქვთ, რომ სააკაშვილი საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდეს, თუნდაც მართლმსაჯულებისათვის წარდგენის მიზნით“, — განაცხადა ბურჯანაძემ.

სააკაშვილმა გვასწავლა, როგორ არ უნდა ვმართოთ ქვეყანა!

„პოლიტიკურად მიხეილ სააკაშვილი არის წარსული“, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის უშიშროების და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის საკითხზე სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ჩვეულებრივი სამართლებრივი რეაგირება.

„პოლიტიკურად მიხეილ სააკაშვილი არის წარსული, მან ჩვენ გვასწავლა, როგორ არ უნდა ვმართოთ ქვეყანა და ის შეცდომები, რომელიც ქვეყანამ დაუშვა და რიგ შემთხვევაში ეს იყო არა შეცდომები, არამედ დანაშაულები, ამ ქვეყანაში აღარ უნდა განმეორდეს. სხვა დანარჩენ კითხვებზე მიმართეთ სამართალდამცავებს იმიტომ, რომ ისინი კანონის შესაბამისად მოქმედებენ. ის არის ძებნილი და სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ჩვეულებრივი სამართლებრივი რეაგირება,“ — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

აზოვის ბატალიონი სააკაშვილს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს

ოდესის ყოფილი გუბერნატორის განცხადებას იმის შესახებ, რომ უკრაინის დასავლეთ საზღვარზე ხელისუფლება მის დასახვედრად აზოვის ბატალიონს გზავნის, ბატალიონის მეთაურები არ ადასტურებენ.

„5 სექტემბერს მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ აზოვის პოლკის ნაწილი ანტიტერორისტული ოპერაციის ზონიდან გამოიყვანეს და უკრაინის დასავლეთ საზღვარზე გადაისროლეს, რათა უკრაინაში მის დაბრუნებას ხელი შეუშალონ. ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. აზოვის პოლკი ანტიტერორისტული ოპერაციის ზონას არასდროს დატოვებს“, — ნათქვამია განცხადებაში. ბატალიონი სააკაშვილისგან ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის ბოდიშის მოხდას ითხოვს.

საქართველო-ირანის ბიზნესფორუმი თბილისში

19-20 სექტემბერს თბილისში საქართველო-ირანის ბიზნეს-ფორუმი გაიმართება. ღონისძიება 19 სექტემბერს, 15:00 საათზე, თბილისის ტექნოპარკში გაიხსნება. ფორუმი 20 სექტემბერს, 10:00 საათზე სასტუმრო „ბილტმორში“ ბიზნესის ორმხრივი შეხვედრებით გაგრძელდება.

ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრების მოადგილეები, ასევე სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელმძღვანელი და ირანის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრის მოადგილე ვაჰიდ აჰმადი გახსნიან. ბიზნეს ფორუმის მიზანია საქართველოსა და ირანს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურება და ბიზნესწრეებს შორის საქმიანი თანამშრომლობის განვითარება. ქართული და ირანული კომპანიების წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ პირისპირ გამართონ მოლაპარაკებები სამომავლო თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

ირანის ბიზნესდელეგაციის წევრი კომპანიები წარმოადგენენ შემდეგ სფეროებს: ფარმაცია, ლაბორატორიული აღჭურვილობა, სამედიცინო აღჭურვილობა, სოფლის მეურნეობა, სასათბურე მეურნეობა, ინდუსტრიული მანქანა-დანადგარები, სამშენებლო მასალები, საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT), წყლის გამწმენდი დანადგარები, ენერგოსისტემა, ნანოტექნოლოგიები, ბიოსამედიცინო ინჟინერია, ელექტრონიკა.

ლარის გაუფასურების მიზეზები

ბოლო ერთი თვის განმავლობაში ლარი დაახლოებით 4 პროცენტით გაუფასურდა. განსაკუთრებული გაუფასურება ბოლო დღეების განმავლობაში აღინუსხება. დღეს Bloomberg-ის ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში 1 აშშ დოლარი 2,4900 ლარად ივაჭრება. „კომერსანტი" დაინტერესდა რა ფაქტორებით ხსნიან ეკონომიკის ექსპერტები ლარის გაუფასურებას, რა მოლოდინები აქვთ და ხედავენ თუ არა შექმნილ ვითარებაში რაიმე ქვედინებებს?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის პრეზიდენტი ვახტანგ ჭარაია **ბოლო პერიოდში ლარის გაუფასურებას რამდენიმე ძირითად ფაქტორს უკავშირებს. მათ შორისაა,** სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც 2.5 ლარიან ნიშნულზეა დაგეგმილი. შესაბამისად, მთავრობა და ეროვნული ბანკი შეეცდებიან ლარს მიმართულება ამ ნიშნულისკენ მისცენ. **„თუ ამ ნიშნულს არ დაიჭერენ, მაშინ სახელმწიფო ბიუჯეტს პრობლემები შეექმნება. ამას კი ხელისუფლება თავს აარიდებს. მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც წინ არჩევნები გვაქვს",** — აცხადებს ჭარაია. გარდა ამისა, ტურისტული სეზონი უკვე სრულდება, რაც ჭარაიას განცხადებით, ლარის კურსზე ნეგატიურად აისახება.

მისი თქმით, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს საკმაოდ დიდი რაოდენობით საგარეო ვალდებულები აქვს, ეს კი უარყოფითად აისახება ლარზე, რადგან საგარეო ვალდებულებების მომსახურება დოლარში ხორციელდება. **„კომპლექსურად თუ ყველაფერს ერთად განვიხილავთ, ეს არის სწორედ გაუფასურების მიზეზი",** — აცხადებს ჭარაია.

ექსპერტი ლარის კიდევ უფრო მეტ გაუფასურებას ვარაუდობს, თუმცა, მისივე პროგნოზით, ეს გარდამტეხი და გადამწყვეტი გაუფასურება არ იქნება. „ეს იქნება უმნიშვნელო გაუფასურება, რადგან უარყოფით ფაქტორებთან ერთად არსებობს დადებითი, შემომავალი ნაკადებიც. მათ შორის ექსპორტის, ფულადი გზავნილების და უცხოური ინვესტიციების ზრდა. შესაბამისად, კურსს ესეც დააბალანსებს", — ამბობს ჭარაია.

„საზოგადოება და ბანკების" ანალიტიკოსი გივი ადეიშვილი განმარტავს, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ლარი დაახლოებით 4 პროცენტით გაუფასურდა. ეს პროცესი კი განსაკუთრებით ბოლო 1 კვირის განმავლობაში შეინიშნება.

მისი თქმით, იმ პირობებში, როდესაც სავალუტო ბაზარზე რაიმე მსხვილი გარიგების შესახებ ინფორმაცია უცნობია, ლარის გაუფასურებას „საზოგადოება და ბანკები" სეზონურ გაუფასურებას და ეროვნული ვალუტის მიმართ არსებულ მოლოდინს უკავშირებს. **„ბოლო 3 წლის განმავლობაში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი საკმაოდ მერყეევია. ვალუტის გაუფასურება განსაკუთრებით, შემოდგომა-ზამთრის პერიოდს ახასიათებს, გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში კი გამყარების მოლოდინი არსებობს",** — აცხადებს ადეიშვილი.

ანალიტიკოსის განმარტებით, მართალია, ლარის კურსის პროგნოზი ამ შემთხვევაში შეუძლებელია, თუმცა, გაცვლითი კურსი გარკვეულ პერიოდში დასტაბილურდება.

ლარის კურსის გაუფასურებას ძირითადად საგარეო ფაქტორებს უკავშირებს **ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში აკაკი ჩარგეიშვილი.** მისი თქმით, ის, რაც ახლა ხდება, შოკისმაგვარი რყევაა. თუმცა ჩარგეიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოში მსგავსი მომენტი არაერთხელ ყოფილა. **ჩარგეიშვილის განცხადებით, ქვეყანაში არსებული მდგომარეობა არ უნდა იძლეოდეს ლარის გაუფასურების საფუძველს, რადგან საკმაოდ დიდია ტურისტების რაოდენობა, ზრდაა ექსპორტის და ფულადი გზავნილების ნაწილშიც.**

„ამ შემთხვევაში ჩვენი პირდაპირი პოლიტიკის ნაწილი არის ის, რომ სახელმწიფოს სავალუტო რყევების დროს დაზღვევა არა აქვს. კორეასთან დაკავშირებული პოლიტიკური ვითარების გამო, საერთაშორისო ბირჟებზე გუშინ ბიტკოინის ღირებულებაც 8 პროცენტით დაეცა. დიდი რყევებია დოლართან და ევროსთანაც. **ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა პირდაპირ არ არის დამოკიდებული საერთაშორისო მდგომარეობასთან, მაგრამ ეს ფაქტორები ირიბად მაინც მოქმედებს. ჩვენ სტაბილურობის მექანიზმები არ გვაქვს",** — აცხადებს ჩარგეიშვილი.

ისიც, სხვა ექსპერტების მსგავსად ამბობს, რომ ვითარება რამდენიმე დღეში, სავარაუდოდ, დასტაბილურდება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებით რამდენიმე თეთრით გაუფასურდა. **რამდენიმეთვიანი სტაბილურობის შემდეგ, ეროვნული ვალუტის გაუფასურება 24 აგვისტოდან დაიწყო. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი 5 სექტემბრის კურსის მიხედვით, ერთი დოლარი 2,4502 ლარი ღირს, ხოლო ბლუმბერგის პლატფორმაზე 1 დოლარი 2,4900 ლარად ივაჭრება.**

შარშან, სექტემბრის დასაწყისში, ერთი დოლარის ღირებულება საშუალოდ 2,31 ლარს შეადგენდა და მკვეთრად გაუფასურების პროცესი კი, 27 სექტემბრიდან დაიწყო. ეროვნულმა ვალუტამ გაუფასურების პიკს 2016 წლის 21 დეკემბერს მიაღწია, როდესაც ერთი დოლარი 2,8 ლარი ღირდა.

ამის შემდეგ ეროვნულმა ვალუტამ გამყარება დაიწყო, უკვე ზაფხულში კი ლარი დოლარის მიმართ 2,38-2,39 ნიშნულზე დაბალანსდა. იმისათვის, რომ ეროვნული ვალუტის მკვეთრი გამყარება არ მომხდარიყო, ეროვნულმა ბანკმა ზაფხულის განმავლობაში ბაზრიდან 110 მილიონი დოლარი ამოიღო. კერძოდ, 19 ივნისს გამართულ სავალუტო აუქციონზე სებ-მა 10 მილიონი დოლარი იყიდა, 20,26,28 ივნისს, 1 და 7 აგვისტოს კი — 20-20 მილიონი დოლარი.

სოფო ქსოვრელი

ზღვისპირა სასტუმროებში ტურისტების რაოდენობა გაიზარდა

ზღვისპირა ქალაქებში ტურისტული სეზონი დასასრულს უახლოვდება. „კომერსანტი" დაინტერესდა, თუ როგორი სიტუაცია იყო სეზონზე აჭარის რეგიონში მდებარე ბრენდულ და საოჯახო სასტუმროებში.

აღმოჩნდა, რომ სასტუმროებში, წლეულს 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მომატებული იყო, როგორც უცხოელი, ასევე ქართველი სტუმრების რაოდენობა. სასტუმროების წარმომადგენლები წლევანდელ საზაფხულო სეზონს დადებითად აფასებენ.

როგორც „კომერსანტთან" საუბრისას ციხისძირში მდებარე სასტუმრო „Castello Mare"-ს გაყიდვებისა და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელი მარიამ კედელაძე აცხადებს, წელს შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით უცხოელი ტურისტების რაოდენობამ დაახლოებით 40%-60%-ით იმატა.

„წლევანდელი საზაფხულო სეზონით საკმაოდ კმაყოფილები ვართ. „Castello Mare"-სთვის ეს მეორე წელი იყო და, რა თქმა უნდა, ჩვენთვის წარმატებული აღმოჩნდა. „Castello Mare"-ს ძირითადად პოსტსაბჭოთა სივრციდან და არაბული ქვეყნებიდან სტუმრობენ. რაც შეეხება ქართველ სტუმრებს, ჩვენს სასტუმროში დამსვენებელთა 30% ქართველი ტურისტია. სეზონი ჯერ არ დასრულებულა და კვლავ აქტიურად ვიღებთ სტუმრებს.

რაც შეეხება სერვისების გაუმჯობესებას, ჩვენ ამ დრომდე 16 წლამდე ბავშვებს სასტუმროში არ ვიღებდით, ამიტომ იმ ინფრასტრუქტურას განვავითარებთ, რაც მომავალ წელს ბავშვების მიღების საშუალებას მოგვცემს. ასევე გამაჯანსაღებელ ცენტრში მრავალი სიახლის დამატებას ვგეგმავთ", — განაცხადა მარიამ კედელაძემ.

ქობულეთში მდებარე სასტუმრო „Georgia Palace"-ის PR მენეჯერი რუსუდან ცეცხლაძე განმარტავს, რომ „2017 წლის ზაფხული წარმატებული სეზონი იყო, სტუმრების რაოდენობის თვალსაზრისით". ცეცხლაძე უცხოეული ტურისტების რაოდენობაზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ სასტუმროს ყველაზე მეტი სტუმარი რუსეთიდან, უკრაინიდან და ყაზახეთიდან ჰყავდა.

სასტუმრო „რედისონ ბლუ ბათუმის" საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის მენეჯერი სალომე წოწორია ამბობს, რომ მათ სასტუმროზე კვლავ დიდი მოთხოვნაა.

„საზაფხულო სეზონს აბსოლუტურად პოზიტიურად შევაფასებ. სასტუმრო სრულად იყო დატვირთული და ამჟამადაც დაჯავშნილია ნომრები. ჩვენ სტუმრები სხვადასხვა ქვეყნიდან გვყავდა. მათ შორის: რუსეთიდან, თურქეთიდან, ისრაელიდან და ირანიდან. ყოველ წელს სასტუმრო დიდი დატვირთვით მუშაობს და ჩვენი გუნდი ამისთვის ყოველთვის მზადაა", — აღნიშნა სალომე წოწორიამ.

წლევანდელ სეზონს საოჯახო სასტუმროებიც დადებითად აფასებენ.

როგორც სასტუმრო „Guest House Agmashenebeli street 82""-ში განაცხადეს 2017 წლის ზაფხული შარშანდელს ჯობს. **„გვყავს როგორც უცხოელი ასევე ქართველი ტურისტები. წელს ჩვენთან ჩამოსული ტურისტების 30%-ი უცხოელი იყო. შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით რაოდენობა მომატებულია",** — გვითხრა სასტუმროს წარმომადგენელმა ზაზა ზოიძემ.

„Guest House Guro"-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი მერი ველიაძე კი აღნიშნავს, რომ ტურისტები წელს მცირე დროით დასვენებას ამჯობინებდნენ, რის მიზეზადაც ტურისტების ფინანსების ნაკლებობას ასახელებს.

„წლევანდელ ზაფხულს დადებითად შევაფასებ, თუმცა დამსვენებლები მცირე დროით ისვენებდნენ, რადგან ფინანსურად მეტის საშუალება არ ჰქონდათ. წელს ჩვენთან ჩამოსული ტურისტების 60% უცხოელი იყო", — ამბობს მერი ველიაძე.

ლიკა გურაბანიძე

„ქართლის ქარის ელექტროსადგურის" აქციები მომავალ წელს იყიდება!

„ქართლის ქარის ელექტროსადგურის" აქციები საქართველოს საფონდო ბირჟაზე, სავარაუდოდ, მომავალ წელს განთავსდება. როგორც „ქართლი ქარის ელექტროსადგურის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე თორნიკე ყაზარაშვილი რადიო „კომერსანტთან" აცხადებს, ბაზრის კვლევა საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე „ქართლის ქარის ელექტროსადგურმა" აგვისტოს ბოლოს გამოაცხადა. მიმდინარე კვირის ბოლოს ან მომავალ კვირაში კი გამოცხადდება ოფიციალური ტენდერი შესყიდვების სააგენტოს საიტზე საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე და ამ პროცესის დასრულების შემდეგ დადგინდება აქციების განთავსებისა და სისტემის აწყობის ვადა.

„წინასწარ ზუსტი თარიღის დადგენა რთულია. ტენდერის დასრულებას ერთი თვე სჭირდება, შემდეგ მისი დაკონტრაქტება ნოემბრის დასაწყისში მოხდება. სისტემის აწყობას და აქციების გამოტანას დამატებით მინიმუმ 3-4 თვე დასჭირდება", — აცხადებს ყაზარაშვილი.

კითხვაზე, დაიტოვებს თუ არა სახელმწიფო „ქართლის ქარის ელექტროსადგურის" საკონტროლო პაკეტს? ყაზარაშვილი პასუხობს, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნება კონსულტაციების შემდეგ.

„კონსულტანტს ველოდებით და შესაბამისად, რომელიც უფრო უკეთესი ვარიანტი იქნება, მართვის და სხვა მონაცემების კუთხით ამის მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას" — განმარტავს ყაზარაშვილი.

მისივე ინფორმაციით, სექტემბერი, როგორც წესი პასიური თვეა ქარის ელექტროსადგურისთვის გამომუშავების კუთხით თუმცა ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ელექტროსადგური იწყებს იმ დონეზე მუშაობას, რომ კარგი გამომუშავება იყოს.

ბოლო მონაცემებით, „ქართლის ქარის ელექტროსადგურის" მიერ მიმდინარე წლის ივნისის თვეში წარმოებულმა და მიწოდებულმა ელექტროგენერაციამ 8 762 000 კილოვატ/საათი შეადგინა, რაც 1 562 000 კილოვატ/საათით აღემატება ივნისის თვის პროგნოზს. ამასთანავე სადგურის მიერ ჩართვის დღიდან გამომუშავებული და მიწოდებული ელექტროენერგია შეადგენს 53 600 000 კილოვატ/საათს. ქარის ელექტროსადგური ექსპლუატაციაში გასული წლის 20 დეკემბერს შევიდა, თუმცა, ნოემბრიდან სადგურის მიერ გამომუშავებული ენერგია უკვე სისტემას მიეწოდებოდა.

გორში მდებარე ქარის ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 20,7 მეგავატია, ხოლო გამომუშავებული ელექტროენერგია 88 მლნ კვტ/საათი. პროექტის ღირებულება 34 მილიონი დოლარია. საქართველოს მიერ ელექტროენერგიის წლიური მოხმარება საშუალოდ 11 მილიარდი კვტ/სთ-ია.

თორნიკე ქაროსანიძე

მშვენიერებით გასხივოსნებული ლეგენდა ნატო ვაჩნაძე

გარდასულმა წლებმა, შესაძლოა, შენში რაღაც საინტერესო და გამორჩეული ფაქტები გააცოცხლოს, გაგახსენოს წარსულის გადმოძახილის და შენში ცხადად წარმოსახული ადამიანთა სახეები, მათი საქმიანობა, იმდროინდელი პერიოდი. მოგონებათა ბურუსში გახვეული, ყველაფერ ამას დღევანდელობის თვალით უყურებ და ცდილობ, წარმოიდგინო ისე, თითქოს ეს შენს თვალწინ ხდებოდა...

ამას წინათ დოკუმენტურ ფილმზე მუშაობისას, 1923 წელს რეჟისორ ბეკნაზაროვის მიერ გადაღებული მუნჯი ფილმის „მამის მკვლელის“ ნახვა მომიწია, სადაც ქართული ხელოვნების ორი ლეგენდა — ვანო სარაჯიშვილი და ნატო ვაჩნაძე — მონაწილეობს. ამ ამბავმა ერთი ფრიად არასასიამოვნო მომენტი გამახსენა, 1953 წელი, როდესაც ზაფხულის ცხელ დღეს, სრულიად მოულოდნელად ყველა შეგვძრა, ნატო ვაჩნაძის ტრაგიკულმა ამბავმა. საერთო მწუხარებას ამძაფრებდა ისიც, რომ მასთან ერთად ჩვენი ოჯახის ახლობელი, ახალგაზრდა პერსპექტიული მეღვინე — სპეციალისტი ოთარ გელაშვილიც აღმოჩნდა. ადამიანის გონებას ყოველთვის მყარად აღებეჭდება დიდი სიხარულისა თუ მწუხარების ამსახველი ფრაგმენტები. კარგად მახსოვს ეს შემზარავი ისტორია, საყოველთაო გლოვა ქართული კინოს კაშკაშა ვარსკვლავის, უმშვენიერესი ნატო ვაჩნაძის ნაადრევად დაფერფლვის გამო. ახლა, როდესაც ამას ვიხსენებ, გონება წარსულისკენ მექაჩება და დიდი სურვილი მიჩნდება, კიდევ ერთხელ მოკლედ აღვწერო ამ ბრწყინვალე მანდილოსნის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ზოგიერთი პერიოდი.

მეოცე საუკუნის ოციანი წლები, დრო, როდესაც ჩვენში ფეხს იკიდებს და საძირკველი ეყრება მუნჯი ფილმების მიმდინარეობას, რომლის პირველი შემქმნელი და გზამკვლევი მსოფლიოში აღიარებული კინომოღვაწე, გენიალური ჩარლი ჩაპლინი გახლდათ. ქართული მუნჯი ფილმების დაარსების პირველი დღეებიდანვე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 19 წლის ნატო ვაჩნაძე აქტიურად ებმება ფილმების შექმნაში. ახალბედა მსახიობს ერთდროულად ორ ფილმში — „არსენა ყაჩაღსა“ და „მამის მკვლელში“ იღებენ. ნატომ, რომელიც ქარიშხალივით შემოიჭრა ქართულ ეკრანზე, თვალის დახამხამებაში მოიპოვა საერთო სიყვარული და აღიარება.

ალბათ, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ გასული საუკუნის ქართული კინემატოგრაფია ამ გასაოცარი მსახიობის გარეშე, რომლის იშვიათი სილამაზე, უძირო სიღრმის, ზოგჯერ სევდიანი თვალები, მომნუსხველ-მომაჯადოებელი ღიმილი უამრავი ადამიანის აღტაცებასა და თაყვანისცემას იწვევდა. მას ვის არ ადარებდნენ, მაგრამ ვისთვისაც არ უნდა შეედარებინათ, ნატო ვაჩნაძე უბადლო იყო, იგი არავის ჰგავდა და მართლაც განუმეორებელი იყო ეკრანსა თუ ცხოვრებაში, რომელიც გარდა სილამაზისა, სიკეთესაც უხვად ასხივებდა.

„იშვიათი სახის, შეუპოვარი სისპეტაკისა და კდემამოსილების ტალანტი... უყვარდა საქართველოს მიწას და, საერთოდ, მთელ დედამიწას...“ წერდა ბორის პასტერნაკი.

ლეგენდასავით დადის ერთი ასეთი ამბავიც: მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ივანე დენისოვს საქართველოში ერთ-ერთი სტუმრობის დროს, სხეულში დარჩენილი ნაღმის ნამსხვრევმა ტკივილი გაუხსენა. საჭირო იყო ქირურგიული ჩარევა. ოპერაცია ცნობილმა დასტაქარმა აკადემიკოსმა მამია კომახიძემ გაუკეთა. თურმე როცა ავადმყოფს ტკივილები დაეწყებოდა, ამოიღებდა სათუთად შენახულ ფოტოს — „ნატო მაგნოლიით“ და ტკივილიც უამდებოდა. ავადმყოფი რომ გამოჯანმრთელდა, სახელოვან ექიმთან ერთად ნატოს სურათს ემადლიერებოდა, მისი სასწაულმოქმედი გავლენის გამო.

ნატო (ნატალია) გიორგის ასული ანდრონიკაშვილი დაიბადა 1904 წლის 3 ივნისს ვარშავაში, სადაც მამამისი გიორგი ალექსანდრეს ძე ანდრონიკაშვილი, რუსის ჯარის კავალერიის ოფიცერი, სამხედრო სამსახურს გადიოდა. ნატოს ბებია (მამის მხრიდან) ილია ჭავჭავაძის ბიძაშვილი იყო, დედა კი ეკატერინე სიმონის ასული სლივიცკაია — იტალიური წარმოშობის პოლონელი. ნატოს ერთი წელი რომ შეუსრულდა, ოჯახი თბილისში გადმოსახლდა. სულ ცოტა ხანში მამამისი გარდაიცვალა, ვლადიკავკაზში ბანდიტების ტყვიამ იმსხვერპლა. ქვრივ ეკატერინეს ძალიან გაუჭირდა ოთხი შვილის შენახვა. ამიტომ იგი თავისი შვილებით მშობლიურ გურჯაანში გადავიდა საცხოვრებლად. რათა ცოტა მაინც წახმარებოდა ოჯახს, 14 წლის ნატო სწავლის პარალელურად მუშაობას იწყებს, შავ მუშად ჯერ ასანთის, შემდეგ კი ბორბლების საცხის ქარხანაში. 18 წლის ნატო თხოვდება მერაბ ვაჩნაძეზე, ვისი გვარიც შემორჩა მას მომდევნო პერიოდში. ერთი წელიც არ იყო გასული ამ შეუღლებიდან, რომ კინორეჟისორმა შაქრო ბეროშვილმა (ნატო ვაჩნაძის „ნათლიმამად“ აღიარებულმა) თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე არსებულ ჟვანიას ფოტოატელიის ვიტრინაში ნახა შიხმანის მიერ გადაღებული ნატოს ფოტოსურათი და აი, იქიდან დაიწყო მისი, როგორც კინომსახიობის ელვისებური აღმასვლა. ზემოთ ორ ფილმზე უკვე მოგახსენეთ, სადაც ნინოს და ნუნუს როლები შეასრულა. ვაჩნაძემ კინოში შექმნა ლირიკული, შთაგონებული სახეები, განსაკუთრებით წარმატებით განასახიერა რომანტიკული ხასიათის როლები: ესმა და დესპინე („სამი სიცოცხლე“ და „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, ორივე ფილმის რეჟისორია პერესტიანი, 1925 წ.), ფატი („ვინ არის დამნაშავე“, რეჟ. წუწუნავა, 1925 წ.), ევროპელი ქალი და ჯემა („ამოკი“, 1927 წ; „კრაზანა“, 1928 წ; ორივე ფილმის რეჟ. მარჯანიშვილი). ამავე პერიოდში საბჭოთა კავშირის და გერმანიის ერთობლივ ფილმში „ცოცხალი ლეში“ რეჟისორმა ოცეპმა ნატო ბოშა ქალის ლიზას როლზე მიიწვია. გადაღება გერმანიასა და უკრაინაში მიმდინარეობდა. კიევში მას რეჟისორმა გრიჩერმა „გარეუბნის კვარტალებში“ ებრაელი გოგონას — დორას როლი შესთავაზა.

ნატო ვაჩნაძე და ვანო სარაჯიშვილი „მამის მკვლელში“

1928 წელს ნატო ვაჩნაძე და ნიკოლოზ შენგელაია დაქორწინდნენ. „ნიკოლოზ შენგელაია ჩემი ცხოვრების რეჟისორია, — წერს ნატო, — მას უნდა ვუმადლოდე ყოველთვის, რისთვისაც მიმიღწევია ხელოვნებაში. ის იყო ჩემი ბედნიერების წყარო“. ეს იყო ორი ხელოვანის შემოქმედებითი წვითა და ძიებებით აღსავსე თანაცხოვრების წლები, რომელსაც თან ახლდა უამრავი ტკივილი თუ სიხარული. თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე ხანგრძლივი განშორებით გამოწვეული სევდა თუ კვლავ ერთმანეთთან შეხვედრის დიდი სურვილი და ლტოლვა. მაგრამ როგორც ჩანს ცხოვრებას თავისი კანონები აქვს, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი ცვლის, მას ყველა ვემორჩილებით.

გასული საუკუნის ოციანი წლების ბოლოს მუნჯი კინო ნელ-ნელა გზას უთმობდა ხმოვან კინოს. ამ პერიოდისთვის ნატო უკვე ცამეტ მუნჯ ფილმში იყო გადაღებული. მას კარგად ესმოდა კინემატოგრაფიაში ახალი ერის დაწყების სირთულეები. იგი დაუღალავად მუშაობდა: ხვეწდა მეტყველებას, დიქციას, საუბრის მანერას, რაც ასე საჭირო და აუცილებელი იყო ხმოვან კინოში საქმიანობისთვის. ამ მიზნით სპეციალურად შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის ისტორიის სპეციალობაზე.

1932 წელს ნატო ვაჩნაძე მოსკოვში მიემგზავრება და ცნობილ კინოდოკუმენტალისტთან ესთერ შუბთან ასისტენტად იწყებს მუშაობას. „რაოდენ გაოცებული დავრჩი, როცა ნატო ვაჩნაძე, მრავალი ფილმით ნაცნობი კინომსახიობი, მოვიდა ჩემთან. კოხტა, დარცხვენილი, მომხიბვლელად მომღიმარი, მოვიდა ულამაზესი ქალი, გრძელი წამწამებით მოჩრდილული, ფართოდ გახელილი თვალებით. ჩაიცვა სპეცტანსაცმელი, თექის ჩექმები. მუშაობდა გატაცებით, საქმეს არ თაკილობდა. ნამდვილად აინტერესებდა დოკუმენტური კინოს ბედი... ძვირფასო, მშვენიერო, დაუვიწყარო ნატო! გმადლობთ სიყვარულისა და სულის სილამაზისთვის“, — ესთერ შუბი. გადაღებები მიმდინარეობდა რუსეთის ჩრდილოეთში, ლენინგრადში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში. სადაც კი გამოჩნდებოდა ნატო, ყველგან უდიდეს სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებდა, ხალხი აღფრთოვანებით ხვდებოდა.

1934 წლიდან სრულიად ახალი ეპოქა იწყება ნატო ვაჩნაძის მოღვაწეობაში. მას რეჟისორი ჭიაურელი ორ ხმოვან ფილმში იღებს: „უკანასკნელი მასკარადი“ — თამარის როლში და „არსენა“ — ნინოს როლში. ამას მოჰყვა: ციციას როლი რეჟისორ დოლიძის ფილმში „უკანასკნელი ჯვაროსნები“; მეჩაიე — ნანოს როლი რეჟისორ შენგელაიას ფილმში „ნარინჯის ველი“ და მისსავე „სამშობლოში“ — ნათელას როლი; გვირისტინე რეჟისორ ანთაძის ფილმში „ხიდობნელი ქალიშვილი“; მანანა შენგელაიასა და ანთაძის ფილმში „ის კვლავ დაბრუნდება“. ნატო ვაჩნაძემ ქართველი ქალის მეტად შთამბეჭდავი, გამოკვეთილი და დასამახსოვრებელი სახეები შექმნა: რეჟისორ პიპინაშვილის ფილმებში „ქაჯანა“ — მართას როლი და ძიძის — მანოს როლი ფილმ „აკაკის აკვანში“. მისი უკანასკნელი როლია ელისაბედი რეჟისორ რონდელის ფილმში „მწვერვალთა დამპყრობნი“.

ნატო ვაჩნაძის ვარსკვლავური ცხოვრება და მოღვაწეობა მოულოდნელობებით და წარმატებებით იყო აღსავსე. ფილმების გადაღებები ერთმანეთს ენაცვლებოდა, როლები — როლებს. ყველაფერ ამას თან ახლდა უამრავი მოგზაურობა, ზოგჯერ უტრანსპორტობა, უამინდობა, უამრავი ღამის თევა და დაძაბული მუშაობა, მაგრამ მიუხედავად ქალური სინაზისა, იგი ვაჟკაცურად და მხნედ უმკლავდებოდა ყველანაირ წინააღმდეგობას.

ოცდაათი წელი ელვარებდა ნატო ვაჩნაძის პიროვნება ქართულ კინემატოგრაფიაში და ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ხასიათისა და ტიპის 26-ზე მეტი ბრწყინვალე სახე შექმნა.

1943-მა წელმა დიდი ტკივილი არგუნა ნატოს, მოულოდნელად გარდაიცვალა მისი უსაყვარლესი ადამიანი, მეუღლე და მეგობარი ნიკოლოზ შენგელაია. მაგრამ მიუხედავად ამისა, მას სათაყვანებელი საქმისათვის ერთი წუთითაც არ უღალატია და თავისი უფაქიზესი სულის მთელ ტკივილს შემდგომში მის მიერ შექმნილ კინოროლებში გადმოსცემდა. მასზე ლექსებს თხზავენ პოეტები, იქმნება ფერწერული ტილოები, წერენ მწერლები. ნატოს პიროვნებას მოსავს საყოველთაო სახალხო სიყვარული. პოეტმა იოსებ ნონეშვილმა მას ასეთი სიტყვები მიუძღვნა:

„ალბათ, რაც კი ეშხი ჰქონდათ
მსხმოიარე კახურ ვაზებს,
შენ გამოგყვა... მაშ ვით ავხსნათ
ეგ უკვდავი სილამაზე?!“

როგორც ეტყობა, ცხოვრება ბედნიერებით დიდხანს ტკბობის საშუალებას არ გვაძლევს. ასე მოხდა ნატო ვაჩნაძის შემთხვევაშიც, ვითარცა ციური ანგელოზი, ცაში დაიწვა და დაიფერფლა შემოქმედებითი გაფურჩქნის ასაკში, 49 წლისა!

ნატო ვაჩნაძის ღვთაებრივი სახე დღესაც ცოცხლობს მის ფილმებში.

ნატო ვაჩნაძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება, იყო სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, დაჯილდოებული იყო არაერთი ორდენით. მისი და ნიკოლოზ შენგელაიას შემოქმედებითი საქმიანობა შესანიშნავად გააგრძელეს მართლაც უნიჭიერესმა შვილებმა — ელდარ და გიორგი შენგელაიებმა, რომელთა ბრწყინვალე და მართლაც საინტერესო ფილმებმა საერთაშორისო აღიარება და ქართველი ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურეს.

გელა ძოძიაშვილი,
კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, ეკონომიკის დოქტორი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნება“ იმთავითვე კატეგორიულად აცხადებდა, რომ ქვეყანაში სამართლიანობა იზეიმებდა. განსაკუთრებით, ეს შეეხებოდა წართმეული ქონების დაბრუნების საკითხს, რაშიც მთავრობა შეუვალი ჩანდა. „უკანონოდ მითვისებულის დაბრუნება ყველას მოუწევს!“ — არაერთხელ დაუქადნია ყველაზე რადიკალ მინისტრ თეა წულუკიანს.

შეძლო კი ამ დაპირების შესრულება ხელისუფლებამ? რამდენად მოახერხა, ყოფილიყო სამართლიანობის რუპორი? იცის თუ არა, რა ხდება სასამართლოებში და რამდენი სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის დავა ელოდება თემიდას სასწორის განაჩენს?!

ASETI IQNEBA UNIVERMAR „ENGURIS“ ASALI SENOBA

როლანდ ახალაიასა და დავით როგავას 10-წლიანი დავა დასრულდა

ზუგდიდის ცენტრში მდებარე ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული შენობა — უნივერმაღი „ენგური“ წლებია, აჟიოტაჟისა და სკანდალის მიზეზია. მის მიმართ ინტერესი ჯერ კიდევ საოლქო პროკურორის ამპლუაში მყოფმა როლანდ ახალაიამ გამოიჩინა და დაუპირისპირდა უცხოეთში მოღვაწე ბიზმესმენ დავით როგავას. ქონების ხელში ჩასაგდებად, ყოფილი მაჟორიტარი არ მორიდებია ბევრ **უკანონობას, მუქარას, შანტაჟს. როლანდ ახალაია 300 ათას დოლარად შეძენილი ქონების წართმევას ყველანაირი გზით ცდილობდა.** ბრძოლის ველი იშლებოდა სასამართლო დარბაზებში, ქუჩასა თუ პრესის ფურცლებზე. ბიზმესმენი იფიცებოდა, რომ ნაციონალების აქტიური მხარდამჭერი იყო და პრეზიდენტ სააკაშვილის მოპატიჟებით დაბრუნდა სამშობლოში ბიზნესის საკეთებლად. **„ჩემს მშობლებს ოჯახში სულ სამი ფოტო უკიდიათ. ერთი ჩემი, მეორე ჩემი ძმის, შუაში კი მიშა საakაშვილის,** „გულწრფელად“ უმხელდა ერთ-ერთი გაზეთის ჟურნალისტს დავით როგავა ჯერ კიდევ 2008 წელს მაგრამ, როცა ბიზმესმენი მიხვდა, რომ ნაციონალები ვერ უშველიდნენ, **„ოცნების“** მოტრფიალე გახდა: 2016 წელს „სამართლიანობამ“ იზეიმა. და ქონება, რომელზეც როლანდ ახალაია აცხადებდა პრეტენზიას, დავით როგავას საკუთრება გახდა...

მებრძოლი ჭკადუა, ადვოკატი. „დავით როგავა და როლანდ ახალაია, როგორც თავგადაკლული „ნაციონალები“ და მიხეილ საakაშვილის თაყვანისმცემლები, ერთად მოქმედებდნენ, მაგრამ მათ შორის, შეიძლება ითქვას, ანგარების გამო მოხდა დაპირისპირება. დავით როგავამ „ზუგდიდვაჭრობის“ ხელმძღვანელობის — გულნარა ჯინჯოლავას მეთაურობით შეძლო ხელში ჩაეგდო უნივერმაღი „ენგური“ მთლიანად. მათ ფეხებზე დაიკიდეს დანარჩენი 140 აქციონერი, ამის შემდეგ კი როლანდ ახალაიამ გულნარა ჯინჯოლავა და მისი თანამზრახველნი ციხეში ჩასვა, ხოლო დავით როგავა საქართველოდან გადაიხვეწა.

2012 წლის შემდეგ, როდესაც სიტუაცია შეიცვალა, დავით როგავამ და მისმა ჯგუფმა გამონახეს მფარველები და უნივერმაღი „ენგური“ ისევ ჩაიგდეს ხელში. საყურადღებოა, რომ არც მთავარ პროკურატურაში, არც საapელაციო და არც საკასაციო სასამართლოებში არავის გახსენებია ის 140 აქციონერი, რომელთა უფლებები დაარღვია, როგორც ერთმა ისე მეორე მხარემ და ეს უმწეო ადამიანები მშრალზე დატოვეს.

„ენგურის საქმის“ სიმართლე

ორი გავლენიანი ფიგურის დავას დიდი ინტერესით, დაძაბულები ადევნებდნენ თვალს უნივერმაღ „ენგურის“ აქციონერები, ათეული წლების განმავლობაში იქ დასაქმებული ადამიანები, მისი ოფიციალური დირექტორი და ერთ-ერთი აქციონერი თამაზ (ამზა) წულაია, რომელსაც პრეტენზიები ჰქონდა და დღემდე აქვს ბიზნესმენ დავით როგავასთან.

სამსართულიანი უნივერმაღი „ენგური“ საakციო საზოგადოება „ზუგდიდვაჭრობას“ ეკუთვნოდა. მას რამდენიმე აქციონერი ფლობდა. როცა დავით როგავამ აქციათა დიდი წილი — 65,8 პროცენტი 300 ათას დოლარად შეიძინა, ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პირმა სასამართლოში უჩივის. როგორ გაუმკლავდება უმწეო, მფარველის გარეშე დარჩენილი უფულო პენსიონერი მილიონერს, დასკვნის გამოტანა, რთული არ არის!

წერილის ავტორის მამა, ანუ მამაჩემი ღულუნი მოსია, რომელიც ასევე პენსიონერია, პროფესიით პედაგოგი, „ქართული ოცნების“ აქტიური მხარ-

რატომ დაერია მილიონერი ბიზნესმენი უმწეო, მარტოხელა, ინვალიდ პენსიონერებს?!

„ენგურის“ გამო დაპირისპირების ცეცხლი გიზგიზებს

გულნარა ჯინჯოლავამ ბიზნესმენს საკუთრებაში გადასცა მთლიანად შენობა, ანუ მთელი ფართობის (1509 კვ.მ.) 100-ვე პროცენტი, ხოლო დანარჩენი აქციონერები, რომლებიც 34,2 პროცენტს ფლობდნენ, ფართის გარეშე დატოვა(!) „ზუგდიდვაჭრობის“ საakციო საზოგადოებად გადაკეთების შემდეგ, მე გავხდი აქციათა 17 პროცენტის მფლობელი, ამბობს თამაზ წულაია, მაშინ, როცა ნაციონალების უსამართლო რეჟიმმა შეთითხნილი ბრალდებით ოთხნახევარი წელი მომისაჯა და დამაპატიმრა, „ზუგდიდვაჭრობის“ პასუხისმგებელმა პირებმა ჩემთან შეუთანხმებლად „ენგური“ დავით როგავაზე გაასხვისეს, უკანონო გარიგების გამო, მოგვიანებით პასუხისგებაში მისცეს და გაასამართლეს ერთ-ერთი ხელმძღვანელი გულნარა ჯინჯოლავა, რომელსაც 14 წელი მიუსაჯეს“. მართლია, ქალბატონი დაისაჯა, მაგრამ დაზარალებული აქციონერებისთვის ამით სამართლიანობა არ აღმდგარა. ისინი აქციებს ფლობენ მხოლოდ ქაღალდზე, მაგრამ რეალურად ამის შესაბამისი ქონება არ გააჩნიათ.

დაზარალებულთა შორის არის აქციების 4,5 პროცენტის მფლობელი მარტოხელა პენსიონერი ტონია ჩხოლორაია. მას „ენგურის“ პირველ სართულზე განცალკევებით ჰქონდა მასზე მიკუთვნებული ფართი, სულ რაღაც 12 კვ.მ. საdაც მცირე ბიზნესს ეწეოდა და მხოლოდ პენსიის იმედად არ უწევდა ცხოვრება. „2007 წლის მარტში „ზუგდიდვაჭრობის“ ხელმძღვანელობამ შემომთავაზა ასეთი ვარიანტი: აქციების ყიდვა სურს ბიზნესმენს, ვინმე დავით როგავას და ხომ არ გაყიდიო, უარი განვაცხადე, რადგან მინდოდა ჩემ მიერ უკვე დაკავებული ფართი „ენგურის“ გასასვლელში საკუთრებაში გადმოეცათ. ამაზე შევთანხმდით, ვინაიდან, ფართი მხოლოდ 12 კვ.მ. იყო, გაფართოების უფლებით გადმომცეს. ფართის პრივატიზაცია ვერ მოვახერხე, რადგან ახალაიასა და როგავას შორის მიმდინარე დავის გამო, დაკანონება შეუძლებელი იყო, ყვება ქალბატონი ტონია, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ახალმა მეპატრონემ საკუთარი ფართიდან გამოაგდო და ახლა დამჭერი, საარჩევნო კომისიის წევრი, სხვა აქციონერების მსგავსად, სრულ გაუგებრობასა და გაურკვევლობაში აღმოჩნდა.

2000 წლიდან მქონდა საakციო საზოგადოება „ზუგდიდვაჭრობის“ 2000 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №15-ის საფუძველზე გადმოცემული ფართი 12 კვ.მ. იჯარის წესით, უვადოდ, უნივერმაღ „ენგურის“ I სართულზე, უკანა მხარეს, რომელიც იზოლირებულია შიდა ფართებისაგან. ამ ფართის საკუთრების უფლებით დაკანონებას სჭირდებოდა აქციის 1 პროცენტი, რაც მე მქონდა. აღნიშნულ ფართს გავუკეთე მიშენება, რემონტი შევათანხმე ქალაქის შესაბამის სამსახურებთან და იქიდან მოყოლებული მე განვკარგავდი... ყველაფერი ჩემი საკუთარი ფინანსებით გავაკეთე. 2000 წლიდან რამდენიმეჯერ შეიცვალა „ენგურის“ მესაკუთრეები, მაგრამ არავისთან პრობლემა არ შემქმნია.

უნივერმაღი „ენგური“ არის თანასაკუთრებაში, არსებული შენობის გაყიდვა მოხდა თანამესაკუთრეთა თანხმობის გარეშე. ვინაიდან დავით როგავამ შეიძინა აქციების 65,8 პროცენტი, აქციების სანაცვლოდ, კანონის თანახმად, მას ეკუთვნოდა მთლიანი ფართის 1509 კვ,მ-ის 65,8 პროცენტი, ანუ 993 კვ.მ.

რადგან მას მთლიანი ფართი მისცეს საკუთრებაში, 34,2 პროცენტის მფლობელი აქციონერები დავზარალდით და მოგვესპო კუთვნილი ფართების გადაფორმების შესაძლებლობა.

ყველაფრის მიუხედავად, აქციონერები სამართლებრივი გზით ეცდებიან უკანონობის აღმოფხვრას, თუმცა, დიდი ეჭვი აქვთ, რომ ბიზნესმენს ვიღაც გავლენიანი მფარველი ჰყავს, ალბათ საკმაოდ სოლიდური თანხის შეპირების სანაცვლოდ. ქონების გარეშე დარჩენილები მოითხოვენ, „ენგურის“ ფართის განაწილება მოხდეს მათ ხელთ არსებული კუთვნილი აქციების პროპორციულად, ანუ 1 პროცენტი აქციის მფლობელს ჰქონდეს მთლიანი ფართის 1 პროცენტი, ანუ 15 კვ.მ. ამ ქმედებით არც ერთი მხარე არ დაზარალდება. არც „თვითმარქვია აქციონერი დავით როგავა“ როგორც მას თამაზ წულაია უწოდებს.

რაია იხსენებს: 2 ივნისს „ენგურში“ გიჟივით მოვარდა ხათუნა კაკაჩია და გასასვლელში მომუშავე ყველა პირი გარეთ გამოგვყარა. ყვიროდა, უკანონოდ ხართ შეჭრილი ჩემს კუთვნილ უნივერმაღშიო. ახლავე დაგიწერთ აქტს და დაგაჯარიმებთო. ვუთხარი, 20 წელია აქ ვმუშაობ, თანაც მეც თქვენისთანა აქციონერი ვარ-მეთქი. საბუთები ვუჩვენე, მაგრამ არც ჩაუხედავს, მიბრძანდით სასამართლოში ამ თქვენი საბუთებითო, დღეიდან კი აქ არ დაგინახოთო“

იმ დღეს ფართიდან გამოაძევეს აგრეთვე ღულუნი მოსიაც. გამოსახლების პროცესს შეესწრო თამაზ წულაია, რა დროსაც შელაპარაკება მოხდა მეპატრონესა და დაზარალებულ აქციონერებს შორის, ხათუნა კაკაჩიამ პატრულს გამოუძახა! იმ დღესვე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს თამაზ წულაიას მიმართ. რატომღაც ამ ინციდენტიდან თითქმის ერთი კვირის გასვლის შემდეგ საჭიროდ მიიჩნიეს ეჩივლათ ღულუნი მოსიასთვის! ხათუნა კაკაჩია და მისი დედ-მამა, ასევე მეგობრები, რომლებიც მას თან ახლდნენ, ამტკიცებენ, რომ ღულუნი მოსიამ შელაპარაკების დროს თქვა: „ენგურს“ დავწვავო, ოღონდ ეს თქვა მხოლოდ ერთხელო. ერთ-ერთი პატრულის თანამშრომელიც ჯიუტად ამბობს, რომ ღულუნი მოსიამ ეს მართლა თქვაო. მაგრამ პატრულის მეორე თანამშრომელი ირწმუნება, რომ ასეთი რამ „ბრალდებულს“ არ უთქვამსო... ჰოი, საოცრებავ!!! თუკი მხოლოდ ერთხელ დაიმუქრა ადამიანი, რის შემდეგაც იძახებენ პატრულს, საidან ამტკიცებს ეკიპაჟის წევრი, მის იქ მოსვლამდე, რა ითქვა?! ფაქტი ისაა, რომ ასეთი რამ საერთოდ არც თქმულა!!! არც ხათუნა კაკაჩია მორიდებია მოსამართლესთან ტყუილის თქმას, ხათუნა არწმუნებს მოსამართლეს იმაში, რომ ხელშეკრულება იმავე დღეს გაaფორმა დაცვის სამსახურთან იმის შიშით, რომ ღულუნი მოსიამ არ დაწვას უნივერმაღ „ენგურის“ შენობაო და იხსენებს, რომ ის დღე იყო მისთვის ჯოჯოხეთი და არასდროს დაaვიწყდება, რადგან მთელი დღე მილიონერი ქალი მშიერ-მწყურვალი დარბოდა.

ასპარეზზე ბიზნესმენის მეუღლე გამოდის, საქმეში კი პროკურატურა ერთვება

მართალია, რეალურად უნივერმაღ „ენგურის“ მფლობელი დავით როგავაა, თუმცა ოფიციალურად მესაკუთრე არის მისი მეუღლე ხათუნა კაკაჩია, როგორც კი დავა მათ სასარგებლოდ გადაწყდა, გათამამებული ქალბატონი აქციონერებს დაუპირისპირდა... როლანდ ახალაიას თუ მოვერიე, თქვენც დაგამარცხებთო. მან აღმასრულებლის ფუნქცია შეითავსა და უბოდიშოდ ყრის გარეთ აქციონერებს. სამოქალაქო დავას არ დასჯერდა. საქმეში პროკურატურა ჩართო, აქაოდა, შენობის გადაწვით მემუქრებიან აქციონერები, კერძოდ კი ღულუნი მოსიაო (რასაკვირველია, რა არის დასაწვავი, როცა „ენგურის“ მხოლოდ ოთხი გავერანებული კედელია დარჩენილი?!)

აი, „ენგური“ კი დღესაც იწვის ... ოღონდ, სირცხვილით!!! **ტონია ჩხოლო-**

თამაზ წულაია - აქციათა 17 პროცენტის მფლობელი

მიუხედავად ჩემი მრავალგზის გაფრთხილებისა, რომ არ ესარგებლათ ჩემი ციხეში ყოფნით (მე როლანდ ახალაიას პირადი პატიმარი ვიყავი), როგორც უნივერმაღის დირექტორის და აქციათა 17% მფლობელის ქონება, ჩემგან დაუკითხავად, აქციის არმქონე დირექტორმა მერი ყურაშვილმა და ნოტარიუსმა მადონა სახოკიამ მიაკუთვნეს დავით როგავას, ხოლო შემდეგ აქციონერებისაგან ფარულად, 140 აქციონერის ქონება — 35% ხელში ჩაუგდეს დავით როგავას, რითაც ჩაიდინეს თაღლითობა, რაც დასჯადია. დავით როგავამ კი, რომელმაც შავი ბიზნესით იშოვა ფული, თაღლითური გზით დაუფლებული უნივერმაღ „ენგურის“ მეპატრონედ მისი მეუღლე სათუნა კაკაჩია დასვა.

როგორც კი „ენგურის“ რემონტი დასრულდება, ჩვენ, 140 აქციონერი დავდებთ ყველა საბუთს, ყველა საშუალებას გამოვიყენებთ, რომ მივიღოთ ჩვენი კუთვნილი წილი და თაღლითური გზით წართმეული ქონება დავიბრუნოთ.

პატიმრობის მოლოდინში

ზუგდიდის სასამართლომ ღულუნი მოსიას აღმკვეთი ღონისძიების სახით 1000-ლარიანი გირაო შეუფარდა, პროკურატურის მიერ მოთხოვნილი 3000 ლარის ნაცვლად მამაჩემმა საქმე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. საგამოძიებო კოლეგიამ ზუგდიდელი მოსამართლის ნატრული აკობიას გადაწყვეტილება გააუქმა. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე განჩინებაში უთითებს: „საყურადღებოა“, რომ ღულუნი მოსია არ არის ნასამართლევი ან შემჩნეული რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში, აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. არის 68 წლის ასაკის პენსიონერი და მეორე ჯგუფის ინვალიდი, ჰყავს სამი შვილი, შვიდი შვილიშვილი და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას...

საქმე ამით არ დამთავრებულა, მოწმეთა დაკითხვა გრძელდება და ისევ ზუგდიდელი მოსამართლის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, მამაჩემი მოხვდება ციხეში თუ არა! ღულუნი მოსიასთვის დღემდე გაუგებარი და აუხსნელია, რისთვის ისჯება, რა დანაშაულისთვის?! ან რატომ ჩაერია პროკურატურა დავაში, რომელიც წმინდა სახის სამოქალაქო პროცესია?! ის აპირებს მიმართოს გენერალურ პროკურატურას, რათა გაარკვიონ, რომელმა პატრულმა მისცა ცრუ ჩვენება, ეკიპაჟის რომელი მეწყვილე ამბობს სიმართლეს და რომელი ტყუის... რა თქმა უნდა, საპატრულოს მატყუარა თანამშრომელი აუცილებლად უნდა დაისაჯოს!

ბიზნესმენის ახირებანი

რუსეთმა რომ გაზი გამოგვირთო, არავის უთხოვია ჩემთვის, საწვავის შესაძენად ფული გვჭირდებაო, თავად გამიჩნდა სახელმწიფოსა და ხალხის დახმარების სურვილი, ნახევარი მილიონი ასეთ რაღაცებში უშურველად გადავიხადეო... თავს იწონებდა დავით როგავა 9 წლის წინათ ერთ-ერთ ინტერვიუში, ნეტა რატომ შეიცვალა ნირი ასეთმა „ხელგაშლილმა“ ბიზნესმენმა?! დღეს ის, მეუღლეს ამოფარებული, თავად გახდა ქონების წართმევის, შანტაჟის, დაშინების მოთავე. რამდენიმე დღის წინათ მამაჩემთან მოვიდა დავით როგავას მეგობარი ბესარიონ ეფენია და ურჩია, ჩაებარებინა მისთვის ოთახი, რადგან გაძალიანების შემთხვევაში უარესს მიიღებო... რემონტსა და მიშენებაზე დახარჯული თანხა მაინც ამინაზღაურეთო, დაზარალებულმა ღულუნი მოსიამ... მაგრამ ამაზეც კატეგორიულ უარზე არიან. მამაჩემს შეეშინდა მილიონერის, ამიტომ მისი ოთახის გასაღები ჩააბარა!!! სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გასაღები ღმერთმა ისე მოახმაროს, როგორც ეკუთვნოდესო!

მართლაცდა, რა ისეთი მოგება უნდა ნახოს ზუგდიდში 12 კვ.მ.-დან მილიონერმა როგავამ და მისმა ძვირფასმა მეუღლემ,, გასაკვირია?!

სხვისი მოტყუების და გაბითურების ხარჯზე როგორ უნდა იმუშაონ?

თეა მოსია
ზუგდიდი-თბილისი.

ყურძენი ბევრია, მყიდველი ჯერ პასიურია

კახეთში რთველი დაიწყო, მაგრამ ოფიციალური პირები და გლეხები სხვადასხვა პათოსით საუბრობენ. ღვინის ეროვნულ სააგენტოში ამტკიცებენ, რომ წელს ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩება და კერძო სექტორიდან დაინტერესება დიდია, გლეხები კი იმას ჩივიან, რომ უამინდობამ მოსავალი გააფუჭა, ამიტომაც მყიდველი პასიურია.

წელს მთავრობამ რთვლისთვის სუბსიდია აღარ გაიმეტა. მიუხედავად ამისა, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი ამტიცებს, რომ გლეხებს ყურძენი ჩაუბარებელი არ დარჩებათ და ფასიც მათთვის მისაღები იქნება.

იმ შემთხვევაში, თუ ყურძენს კერძო სექტორი არ ჩაიბარებს, საქმეში სახელმწიფო საწარმოები ჩაერთვებიან.

„გლეხი ყველა ვარიანტში ჩააბარებს ყურძენს ან კერძო სექტორს ან სახელმწიფო საწარმოს. ყურძენზე გაზრდილი მოთხოვნაა კერძო სექტორის მხრიდან, მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ კერძო სექტორმა არ ჩაიბარა, მაშინ სახელმწიფო ჩაიბარებს.

რაც შეეხება ფასებს, რქაწითელსა და კახური მწვანის ჯიშის ყურძენს, სახელმწიფო 70 თეთრად მიიღებს, თუმცა იმედი გვაქვს, კერძო სექტორი ამას კიდევ უფრო მაღალ ფასად გააკეთებს“, — განაცხადა სამანიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, წელს 100-ზე მეტი ღვინის კომპანია ინდუსტრიულად 150 000 ტონაზე მეტ ყურძენს გადაამუშავებს. შესაბამისად, წლევანდელი რთველი წარმატებული იქნება.

„ძალიან რთულ კლიმატურ პირობებში, როცა ბევრ სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურას პრობლემა შეექმნა, ყურძნის საკმაოდ უხვი მოსავალი გვაქვს. ღვინის კერძო კომპანიების მხრიდან ყურძენზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. ეს რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, პირველ რიგში, გაზრდილმა ექსპორტმა. წელს ამ მიმართულებითაც რეკორდულ მაჩვენებელს ველოდებით“, — აცხადებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

ისევე როგორც გიორგი სამანიშვილი, ასევე სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილიც დარწმუნებულია, რომ კერძო სექტორი მაქსიმალურად მოტივირებულია, რომ ყურძენი შეიძინოს. ამიტომაც მევენახეებს ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩებათ.

სხვაგვარ რეალობასთან უწევთ თვალის გასწორება კახელ გლეხებს. ისინი მოსავლის მოკრეფას არ ჩქარობენ, რადგან ყურძნის გაყიდვას ჯერ ვერ ახერხებენ. ფერმერები შიშობენ, რომ ძლიერი გვალვა, რომელმაც მოსავალი ისედაც უკვე ძალიან დააზიანა, გაჭიანურებული რთვლის გამო ყურძენს კიდევ უფრო გააფუჭებს.

სიღნაღის რაიონის მოსახლეობა ამბობს, რომ გასულ წლებში ამ დროს, მათ უკვე ჰყავდათ გარანტირებული მყიდველი, რომელსაც მოსავალი მოკრეფისთანავე მიჰქონდათ. წელს კი ყურძნის ყიდვის სურვილს აქამდე არავინ გამოთქვამს.

წელს ყურძნის სუბსიდირებაში გარკვეული ცვლილებები შევიდა. 2017 წლის რთველზე კახეთის რეგიონში ხარისხიან ყურძენზე სუბსიდირება აღარ გაიცემა. თანადაფინანსება შენარჩუნდება რაჭა-ლეჩხუმში სახვანჭკარე ჯიშებზე — ალექსანდროულსა და მუჯურეთულზე — 1კგ-ზე 2 ლარის ოდენობით.

ბექა დანელია

ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულშია რუსეთი, ჩინეთი, უკრაინა, ყაზახეთი და პოლონეთი

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის 2017 წლის 8 თვის მონაცემების მიხედვით, საქართველოდან მსოფლიოს 44 ქვეყანაში ექსპორტირებულია 45,3 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 61%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 100,3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 55%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

„ღვინის ექსპორტმა 8 თვის მდგომარეობით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 61%-ით მოიმატა, 55%-ით გაიზარდა ღვინის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები. ქართული ღვინის გაყიდვები გაიზარდა ევროკავშირის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, აშშ-ის და სხვა ბაზრების მიმართულებით, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და მეღვინეობის დარგის კოორდინირებული საქმიანობისა და სწორად დაგეგმილი მარკეტინგული აქტიობების შედეგია“, — აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი სამანიშვილმა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობთ, **ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი — 51% (5098091), რუსეთი — 94% (28493063), უკრაინა — 42%(4334970), პოლონეთი — 19% (1622872), ლატვია — 25% (963266), ბელარუსი — 35% (904070), აშშ — 67% (286496), გერმანია — 39% (256672), ისრაელი — 232% (139994), საფრანგეთი — 378% (95530), აზერბაიჯანი — 170% (102 342) და სხვა.**

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი, ჩინეთი, უკრაინა, ყაზახეთი და პოლონეთი.

ადგილწარმოშობის დასახელების მიხედვით **ლიდერობს ღვინო „ქინძმარაული“ — 7 752 470 ბოთლი, შემდეგ მოდის: „მუკუზანი“ — 2 478 937, „წინანდალი“ — 1 959 406, „ახაშენი“ — 861 185, „ხვანჭკარა“ — 451 034, „ტვიში“ — 172 358, „ნაფარეული“ — 121 986 და ა.შ.**

ამასთან, მსოფლიოს 20 ქვეყანაში ექსპორტირებულია 9 758 746 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 103%-ით აღემატება 2016 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 21,85 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი — მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 98%-ს აღწევს.

საანგარიშო პერიოდში მსოფლიოს 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია 132 746 ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 153% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 367 757 აშშ დოლარს შეადგენს, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 85%-ს მიაღწია.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები საანგარიშო პერიოდში 165,34 მლნ აშშ დოლარს შეადგენს — ზრდამ 2016 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 52% შეადგინა.

http://accent.com.ge/

ნაძალადევში, ზვარეთის ქუჩის კაპიტალური რეაბილიტაცია დაიწყო

ნაძალადევის რაიონში, ზვარეთის ქუჩაზე საგზაო სამუშაოები დაიწყო. ამ ეტაპზე დაზიანებული გზის საფარის მოხსნა და გატანა მიმდინარეობს. ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ნაძალადევის რაიონის გამგებელი ირაკლი ხელაძე ადგილზე გაეცნო.

„სანზონაში, ზვარეთის ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პარალელურად, დავიწყეთ საყრდენი კედლის მშენებლობა. ორივე პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის. საგზაო სამუშაოების დაწყებამდე კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ 300 მ სიგრძეზე შეცვალა წყალსადენის ცენტრალური ქსელი, რითაც ქუჩაზე მიწისქვეშა კომუნიკაციების პრობლემაც მოგვარდა“, — განაცხადა ნაძალადევის რაიონის გამგებელმა.

ქუჩის კაპიტალური რეაბილიტაციის ფარგლებში, მოეწყობა ბორდიურები, ტროტუარები და გზის სავალ ნაწილზე — 1 966 კვ.მ ფართობზე დაიგება ორი ფენა ასფალტის საფარი.

ᲛᲘᲜᲡᲙᲨᲘ „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲝᲑᲘᲡ“ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲖᲔ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲣᲚᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲐ

ᲕᲠᲪᲔᲚ **ვიდეოსიუჟეტში, რომელიც მინსკის ტელეარხ „Столичное телевидение“-ს ეთერში გადაიცა (პროგრამა „24 საათი“, 19.30), მიმოხილულია ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს და საქართველოს ვიცე-პრემიერის, საგარეო საქმეთა მინისტრის მიხეილ ჯანელიძის შეხვედრა და მოლაპარაკება.**

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სიუჟეტის რეზიუმეს:

ალექსანდრე ლუკაშენკო დარწმუნებულია, რომ ბელარუსი ყოველთვის მზადაა დაეხმაროს საქართველოს მძიმე წუთებში – ისე, როგორც ეს იყო სულ ახლახან, როცა ჩვენი მაშველები ბორჯომის ხეობაში ტყის ხანძარს აქრობდნენ, ხოლო ის, რომ მინსკში ამას წინათ გამართულმა „თბილისობის“ დღესასწაულზე სტუმრების რეკორდული რაოდენობა შეიკრიბა, იმაზე მეტყველებს, თუ როგორ არიან დაინტერესებული ბელარუსები ქართული კულტურით.

საქართველოს ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე ადრე ეკონომიკის სამინისტროში მუშაობდა და მსხვილი ბიზნესპროექტების განხორციელებით იყო დაკავებული. იგი გრენობლის (ავსტრია) უმაღლესი ბიზნესსკოლის კურსდამთავრებულია და დღეს საგარეო ვაჭრობასა და სავაჭრო კავშირების განვითარებასაც კურირებს.

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲚᲣᲙᲐᲨᲔᲜᲙᲝ, ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ: „ᲩᲕᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ ᲕᲘᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲗ, ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ. ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲠ ᲮᲐᲠᲗ. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲛᲔᲑᲘ ᲮᲐᲠᲗ, ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲠᲝᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲠᲔᲪ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲘᲛᲘᲡᲙᲔᲜ ᲒᲕᲘᲑᲘᲫᲒᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲕᲐᲦᲠᲛᲐᲕᲝᲗ. ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲣᲤᲐᲚᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ �გᲐᲠᲔᲨᲔ ᲔᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ. ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲘᲠᲔᲑᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲓᲐᲕᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ – ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘ�კᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲘᲠᲔᲑᲔᲜ“.

**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ, ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ: „ᲩᲕᲔᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲗᲑᲠᲣᲜᲕᲐ, ᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ. ᲛᲝᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲘᲛ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲒᲐᲖᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲐᲥᲕᲡ. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲚᲣᲙᲐᲨᲔᲜᲙᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ.

2016 ᲬᲚᲘᲡ Ა�გᲕᲘᲡᲢᲝᲡᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ, ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲙᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲚᲣᲙᲐᲨᲔᲜᲙᲝᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲛᲞᲣᲚᲡᲘ ᲛᲘᲡᲪᲐ – ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲗᲑᲠᲣᲜᲕᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲘᲛᲐᲢᲐ ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲔᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲠᲝᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲠᲔᲪ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲘᲛᲘᲡᲙᲔᲜ ᲒᲕᲘᲑᲘᲫᲒᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲕᲐᲦᲠᲛᲐᲕᲝᲗ. ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲣᲤᲐᲚᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲠᲔᲪ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲠ ᲮᲐᲠᲗ. ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲠ ᲮᲐᲠᲗ. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲛᲔᲑᲘ ᲮᲐᲠᲗ, ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲠᲝᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲠᲔᲪ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲘᲛᲘᲡᲙᲔᲜ ᲒᲕᲘᲑᲘᲫᲒᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲕᲐᲦᲠᲛᲐᲕᲝᲗ. ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲣᲤᲐᲚᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲠᲔᲪ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ

ქართველი მეწარმეები 17-18 ოქტომბერს ფრანკფურტში ჩავლენ...

17-18 ოქტომბერს Messe Frankfurt-ი **ქალაქ ფრანკფურტში მართავს საერთაშორისო გამოფენას** — Cleanzone 2017.

დამთვალიერებელს საშუალება ექნება გაეცნოს უახლეს ტექნოლოგიებს ლაბორატორიული და სტერილური სივრცეების კეთილმოწყობისა და აღჭურვისათვის, სხვადასხვა ინდუსტრიული გამოყენებისათვის.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება უახლესი საზომი ტექნიკა მიკრო ორგანიზმებისა და ნაწილაკებისათვის, ინოვაციური მასალები და „High-tech" — პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო გარემოს აღჭურვილობა. გამოფენის ფარგლებში დაგეგმილია ვორქ-შოფი, კონგრესი და დაჯილდოება.

DWV მხარს უჭერს Cleanzone 2017-ს და საქართველოს მოქალაქე გამოფენის მონაწილეებსა და ვიზიტორებს დაეხმარება წასვლასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.

საჯარო სამსახურში ხელფასები და დანამატები სპეციალური კანონით დარეგულირდება

საჯარო სამსახურში ხელფასებთან და სახელფასო დანამატებთან დაკავშირებული საკითხები სპეციალური კანონით დარეგულირდება, — აღნიშნული პროექტის შესახებ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი კახიანმა გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენისას ისაუბრა.

მისი თქმით, კანონმა რიგი მნიშვნელოვანი საკითხები უნდა დაარეგულიროს, რომელიც ეხება ხელფასებს, დანამატებს და წახალისებებს.

„კანონპროექტი მომზადებულია და მოხდება მისი ინიცირება. პროექტის განხილვა მიმდინარე სესიაზე გველოდება. ეს არის კანონპროექტი, რომელიც საჯარო სამსახურში განხორციელებული რეფორმიდან გამომდინარეობს. ეს არის შრომის ანაზღაურების შესახებ კანონი. ქართულ სამართლებრივ სისტემაში მსგავსი კანონი არ ყოფილა. მან მთელი რიგი მნიშველოვანი საკითხები უნდა დაარეგულიროს, რომელიც ეხება ხელფასებს, დანამატებს და ასე შემდეგ. ეს არის ძალიან აქტუალური საკითხი, რომლის აქტუალობის თაობაზე ხშირად გაჟღერებულა", — განაცხადა გიორგი კახიანმა.

„ბავშვთა სამყაროში" ხანძარი ბენზინზე ცეცხლის განზრახ წაკიდებით გაჩნდა?!

„ბავშვთა სამყაროს" მოვაჭრეთა ადვოკატი ფრიდონ სიხუაშვილი რამდენიმე დღის წინათ ექსპერტიზის დასკვნას გაეცნო, საიდანაც ირკვევა, რომ ხანძარი ხელოვნურად, ნავთობპროდუქტებზე ცეცხლის წაკიდებით გაჩნდა. ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ენ-ს" ფრიდონ სიხუაშვილმა განუცხადა.

„ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სახანძრო უსაფრთხოების წესები დაცული არ იყო. დასკვნაში წერია, წესები დაცული რომ ყოფილიყო, ასეთი მასშტაბის ხანძარი არ მოხდებოდა და თავიდანვე მოხერხდებოდა რეაგირება. ექსპერტი პირდაპირ წერს, რომ 83-დან 87 კილოგრამამდე ნავთობპროდუქტზე ცეცხლის განზრახ წაკიდებამ გამოიწვია ამ მასშტაბის ხანძარი", — აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენ-თან" სიხუაშვილი.

ადვოკატის განცხადებით, გამოძიება შეგნებულად ჭიანურდება.

„ძალიან ბევრი კითხვაა, მათ შორის, საიდან გაჩნდა იქ ნავთობპროდუქტები? ვინ მიიტანა? ცეცხლი ვინ წაუკიდა? უსაფრთხოების წესები რატომ არ იყო დაცული? მთავარი პროკურატურისგან ამ კითხვებზე პასუხს, დამნაშავეების დადგენას, საბრალდებო სკამზე დასმას ვითხოვთ. თუ ეს ყველაფერი არ გააკეთეს, დავასკვნით, რომ ამ საქმეში ხელისუფლება ურევია და ამ საქმის ობიექტური, სწრაფი და დროული გამოძიება არ სურთ. მხოლოდ გიორგი მაჭავარიანი არ არის შემსრულებელი, შემსრულებლები, დამკვეთები სხვები არიან. ხანძრის გაჩენას მხოლოდ რიგითი თანამშრომელი რომ ვერ შეძლებდა, ეს ცხადია", — აცხადებს ადვოკატი.

შეგახსენებთ, რომ „ბავშვთა სამყაროში" ხანძარი 2017 წლის 30 იანვარს მოხდა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

ხონის რაიონში ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს.

ხონის რაიონის სოფელ ღვედში დევნის შედეგად მერსედესის მარკის მიკროავტობუსი გააჩერეს, რომელიც 112-ის განმასხვავებელი ყალბი სტიკერებითა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანების მსგავსი, ლურჯი ფერის სანათი საშუალებებით (ციმციმა) იყო აღჭურვილი. მერსედესის მარკის მიკროავტობუსის სალონში, 3 მ3 დახერხილი ხე-მასალა იყო განთავსებული.



მძღოლმა ვერ წარმოადგინა ხე-ტყის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი. ხოლო, სპეცსიგნალებსა და სანათ საშუალებებს შსს-ს ნებართვის გარეშე იყენებდა.

ადგილზე გამოცხადნენ შსს საპატრულო პოლიციის თანამშრომლები. მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნება შესაბამის ორგანოებს.

◎ შრომის უსაფრთხოება

მხოლოდ ზრუნვითა და გულისყურით

ადამიანის სხვადასხვა უფლებათა, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების თაობაზე, ლაპარაკი, რომელთა დამცველებად ძალიან ხშირად ისეთი ძალის წარმომადგენლები გვევლინებიან, რომელთაც კაცის სიცოცხლე ჩირადაც არ უღირთ თუკი საქმე მათ მერკანტილურ ინტერესებს ლახავს, პოლიტიკურადაც და სოციალურადაც აშკარად „მომგებიანი", გარკვეული „დივიდენდების" მომტანია. თანაც ეს ადამიანის „უფლებათა შეუვალი მყვირალა დამცველები", რომელთა შორის აბსოლუტური უმრავლესობა გაურკეველი წარმომავლობის ეგრეთ წოდებული „სამოქალაქო სექტორის" წარმომადგენლები არიან, რომლებიც პირაქაფებულები ესარჩლებიან ათასნაირი სექსუალური გადახრის მქონე პირებს, გმობენ გენდერულ უთანასწორობას, ოჯახურ ძალადობას და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ რამეს, ხმას არ იღებენ შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვაზე. თქმა არ უნდა, საზოგადოებაში ბევრი რამ დასალაგებელ-დასაწყობია, თანაც გარკვეულ ჩარჩოებში ერთმანეთის პოზიციის მიმართ სრულიად შეურიგებელი მხარეებიც უნდა მოექცნენ, ამიტომაც დღევანდელი ჩვენი სასაუბრო თემა შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

არადა, ამ მხრივ, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა ნამდვილად საგანგაშოა, რასაც თუნდაც ბოლო წლებში საქართველოს მაღაროებში დატრიალებული ტრაგედიები, იქ მომუშავეთა აქტიური საპროტესტო გამოსვლები, ასევე ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, მათ შორის, უმეტესწილად თბილისში, მშენებლობებზე მომხდარი უბედური შემთხვევები მოწმობს. შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა ყოველთვის აქტუალური იყო, მაგრამ ბოლო ათწლეულების მანძილზე შრომის ინსპექციის გაუქმებისა და პროფკავშირების არსებითი უგულებელყოფის გამო, ის, ფაქტობრივად, ნულოვან ნიშნულზეა. მართალია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში კი არსებობს შრომისა და დასაქმების სამსახური, მაგრამ ის, ფაქტობრივად, არანაირ ძალას არ წარმოადგენს ისევე, როგორც ქვეყნის გაერთიანებული პროფკავშირები, რისი მთავარი მიზეზი საკანონმდებლო ბაზის სასაცილო სისუსტეა, რაც არსებული ნორმებისა და კანონდარღვევათა გამო სანქციების ლამის სამასხრო ოდენობაში გამოიხატება. ყოველი ახალი გახმაურებული უბედური შემთხვევის შემდეგ კი როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები შრომითი პირობების უსაფრთხოებაზე კონტროლის გამკაცრებაზე იწყებენ ლაპარაკს. ეს პროცესი პერმანენტულად წლების მანძილზე გრძელდება, თუმცა კი ქმედითი შედეგის დადგომას პირი მაინც არ უჩანს.

არადა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მისთვის მიწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მარტო თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტებმა შარშან შემოწმებისას შრომის უსაფრთხოებისა და სხვა სახეობის კანონდარღვევა 1667 სამშენებლო ობიექტზე დააფიქსირეს. ამ შემთხვევაშიც უაღრესად მეტყველია სხვა სტატისტიკური მონაცემებიც. მაგალითად, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევის მიზეზით საქმის წარმოება მხოლოდ 178 ობიექტზე დაიწყო, რომელთაგან 122 ობიექტზე შეწყდა სამართალდარღვევის აღმოფხვრის გამო. სამიათასიანი ჯარიმა სულ 46 სუბიექტს დაეკისრა. მშენებლობა ორ შემთხვევაში შეჩერდა, თუმცა შემდეგ კანონდარღვევები აღმოიფხვრა და აკრძალვაც მოიხსნა. საერთოდ კი, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი ზედამხედველობის სამსახურის მუშაობა ძირითადად ფორმალურ ხასიათს ატარებს, სათანადო დოკუმენტაცია არ იწარმოება, თუკი დარღვევა არ არის, რაც მისი მონიტორინგის შესაძლებლობას არ იძლევა, ამიტომ ის ხარვეზიც უმოკლეს დროში აუცილებლად გამოსასწორებელია.

არადა, ამ სფეროში წესრიგი ერთიანადაა დასამყარებელი, რასაც აუცილებლად მყარი საკანონმდებლო ბაზა სჭირდება. დავიწყოთ იმით, რომ **აუცილებელია შრომის ინსპექციის როლის გაძლიერება და მის თანამშრომელთა უფლებამოსილებათა გაზრდა ობიექტების შემოწმების დროს**. როგორც ჯანდაცვის სამსახურის შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტში აცხადებენ, ახლო მომავალში სამსახურის ინსპექციის უფლებამოსილებანი გაიზრდება, რაც იმით გამოიხატება, რომ მის თანამშრომლებს მომატებული საფრთხის სამუშაოების მწარმოებელი კომპანიების ობიექტების ინსპექტირების უფლება წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეეძლებათ.

— კანონის მიღებიდან მალევე, ახალი აკრედიტებული პროგრამები დამტკიცდება, რომლებიც სხვადასხვა სასწავლებლებს შრომის უსაფრთხოების დარგში სპეციალისტების გადამზადების შესაძლებლობას მისცემს, — აცხადებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ელზა ჯგერენაია**.

ცალკე საკითხია სახიფათო სამუშაოების წარმოებისას დაშავებულთათვის, ანდა სულაც, უბედურ შემთხვევათა გამო დაღუპულ მუშათა ოჯახებისთვის კომპენსაციის საკითხიც. **დღესდღეობით მოქმედი კანონმდებლობა მსგავს პროცედურას საერთოდ არ ითვალისწინებს(?!)** ამდენად, როცა კომპანიები დაზარალებულს ელემენტარული მკურნალობისთვის რაღაც მცირედ თანხას აძლევენ, ანდა გარდაცვლილის ოჯახს მხოლოდ დაკრძალვის ხარჯს უსტუმრებენ, ეს მხოლოდ მის მესვეურთა კეთილი ნების გამოხატვაა (აქვე აუცილებლად ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრჯერ ეს არასაჭირო ყურადღების მიპყრობის თავიდან აცილების მიზეზითაც ხდება).

ახალი წესები, არსებული ინფორმაციით... 2019 წლის 1 იანვრიდან, ანუ 16 თვის შემდეგ ამოქმედდება, რა დროშიც, დაგვეთანხმებით, ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. ამიტომ კანონმდებლებმა მოსახლეობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი და ძალზე მტკივნეული საკითხის დროულად გადაწყვეტასაც უნდა მიხედონ და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში ახლად არჩეული დეპუტატებიც უნდა გაისარჯონ სათანადოდ.

ოთარ ტურაბელიძე

◎ წინ, საქართველოვ!

ჰორიზონტზე ბოსფორი გამოჩნდა

ბედი არ გინდა?! – ძლივს ჩვენმა ორივე ეროვნულმა ნაკრებმა უმნიშვნელოვანესი მატჩები სასურველი შედეგებით დაასრულა, მაგრამ მათი დაწყების დრო ერთმანეთს დაემთხვა და ამიტომ დილემის წინაშე დავდექით: კალათბურთელთათვის გაგვეწია გულშემატკივრობა ტელეეკრანთან თუ ფეხბურთელთათვის.

ალბათ, გაიკვირვებთ – XXI საუკუნეში რა პრობლემაა აღნიშნული საკითხის გადაჭრაო. ბევრისთვის მართლაც არაფერი, მაგრამ ხომ არიან ისეთები, ვინც ასეთ ფუფუნებას მოკლებულია? სხვების არ ვიცი, მაგრამ მე ორი კურდღლის დევნას უფრო პრესტიჟული ნადავლი ვამჯობინე და არჩევანი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის სასარგებლოდ გავაკეთე. ვფიქრობ, არც შევმცდარვარ.

ისრაელი – საქართველო 91:104
(დამატებით დროში,
ძირითადი დრო 89:89)
(22:21, 27:26, 21:20, 19:22, 2:15)

ისრაელი: მეკელი – 23, ჰოუელი – 19, კასპი – 16, ელიაჰუ – 14, ბლეიზერი – 8, ტიმორი – 6, პნინი – 3, ოჰაიონი – 2 ქულა.

მთავარი მწვრთნელი – ეზერ ედელშტაინი.

საქართველო: შენგელია – 25 (19 მოხსნა), ფაჩულია – 19 (11 მოხსნა), დიქსონი – 18, სანაძე – 17, მარკოიშვილი – 11, შერმადინი – 9, ბერიშვილი – 3, ცინცაძე – 2 ქულა.

მთავარი მწვრთნელი – ილიას ზუროსი.

მსაჯები: სურაპოვიჩი (ბოსნია), ვოიანოვიჩი (მონტენეგრო), ილმაზი (თურქეთი).

ამთავითვე უნდა ითქვას – ჩვენი გუნდი სათანადო კონდიციებში რომ იყოს, ასეთი სავალიდოლო სანახაობა არ უნდა გადახდენოდა თავს, რადგან მთელ რიგ კომპონენტებში ერთიორად აღემატებოდა მეტოქეს. უპირველესად ფარქვეშ ბრძოლასა (მოხსნაში 50:22 ვიძალეთ) და პერიმეტრიდან ტყორცნებს (სამქულიანებშიც სოლიდური უპირატესობა გვქონდა – 9:3) ვგულისხმობ. აღსანიშნავია ისიც, რომ, პირველად წლევანდელ ევრობასკეტზე, შედარებით გამოცოცხლდა „ჯვაროსანთა“ ისედაც გამეჩხერებული სათადარიგოთა სკამი და ქულები ერთბაშად საქართველოს ეროვნული ნაკრების 8 წევრმა მოაგროვა.

მაგრამ ამავდროულად არის ნიუანსები, რასაც შეუძლია ასეთი კოზირების გაბათილება, განსაკუთრებით – საკუთარი სარბიელისა და მასზე მიბმული მსაჯობის ფაქტორები, რამაც მოაგებინა კიდეც მასპინძლებს წინა ტურის თითქმის უიმედოდ წაგებული პრინციპული შეხვედრა გერმანიასთან და პლეი-ოფში გასვლის შანსი გაუჩინა.

საბედნიეროდ, უდიდესი ძალისხმევით, ამჯერად სტუმართა ღირსებები უფრო ფასეული აღმოჩნდა.

ეზერ ედელშტაინი: კარგა ხანია კალათბურთში ვარ და არ შემრცხვება თუ ვიტყვი, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეხვედრა მათ შორის, რაც მინახავს. ორივე გუნდმა მაღალი კლასი უჩვენა, სანახაობრივი მხარეც ბრწყინვალე იყო და, დარწმუნებული ვარ, ზოგადად თამაშის ხილვით გულშემატკივარმაც ისიამოვნა, რასაც ვერ ვიტყვი შედეგზე. დიახ, შედეგი გამაწბილებელია.

ლიტვა – უკრაინა 94:62, გერმანია – იტალია 61:55.

ასე რომ, ჯგუფური რაუნდის დასკვნით მატჩში უმოტივაციო, პლეი-ოფში ვადამდე გასულ იტალიელებთან გამარჯვება ილიას ზუროსის შეგირდებს მერვედფინალისკენ გაუხსნიდა გზას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი უნდა გველოცა, რომ პირველივე ეტაპზე ჩარჩენილი ისრაელის გუნდი ავტორიტეტს მოფრთხილებოდა და უკრაინელები დაემარცხებინა, რომლებიც პირადი ბრძოლის მოგებით გაგვისწრებდნენ...

გუშინ: საქართველო-იტალია 69:71

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

მოგებაც მოვა... როდის?

ორიოდე მატჩიც და საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ ციკლს დაასრულებს.

მართალია, შემოდგომა ეს-ესაა დაიწყო და წიწილების დასათვლელად ერთ თვეს რამენაირად მოვითმენთ, მაგრამ ზოგი რამ ახლავე შეიძლება ითქვას.

ერთის მხრივ, ვლადიმირ ვაისის გაწვრთნილი გუნდი, თითზე ჩამოსათვლელ მაჩანჩალათა მსგავსად, ჯერაც მოუგებლად თამაშობს, რაც, დაგვეთანხმებით, ძნელად შესაგუებელია, მაგრამ, მეორე მხრივ, რვა ჩატარებული შეხვედრიდან მხოლოდ სამი წააგო, თანაც ქულები აართვა რეიტინგსა და წლევანდელ სატურნირო ცხრილში მასზე წინა პოზიციებზე დამკვიდრებულ მეტოქეებს, ეს კი, ჩასაფრებული თუ არა ხარ, ზომიერი ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად უნდა გაძლევდეს კაცს. კიდევ უფრო მისასალმებელია, რომ ბიჭებს საკუთარი ძალების რწმენა გაუჩნდათ და აღარავისი ეშინიათ.

სიმბოლურია, რომ ვენაში ავსტრიასთან გამართულ უკანასკნელ ბრძოლაში პირველი სანაკრებო გოლი ვაკო გვილიამ ისე ოსტატურად „შეასრულა“, მასზე გაცილებით

გაპიარებულ „ჯვაროსანთა“ კარიერას რომ დაამშვენებდა.

ირლანდია – სერბეთი 0:1, მოლდოვა – უელსი 0:2.

სერბეთი – 18, უელსი – 14, ირლანდია– 13, ავსტრია – 9, საქართველო – 5, მოლდოვა – 2 ქულა.

6 ოქტომბერს ითამაშებენ: საქართველო – უელსი, ავსტრია – სერბეთი, ირლანდია – მოლდოვა.

გიორგი შოთაძე

◎ გვიმრავლოს!

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა კახეთის მხარის გუბერნატორთან ირაკლი ქადაგიშვილთან, თელავის მერ პლატონ კალმახელიძესთან და შპს „სპორტმშენსერვისის“ დირექტორთან ლევან ტარყაშვილთან ერთად თელავში მშენებარე სპორტის სასახლე მოინახულა.

მულტიფუნქციური, ორდარბაზიანი სპორტული კომპლექსი თელავში წლის ბოლოს გაიხსნება. დიდი დარბაზი 1 500 მაყურებელს დაიტევს, პატარა – 500-ს. სპორტის სასახლის მიმდებარედ დასასვენებელი სკვერის მოწყობაც იგეგმება.

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში სპორტისა და ახალგაზრდობის

თელავს დაამშვენებს...

საქმეთა სამინისტრომ თბილისსა და რეგიონებში უპრეცედენტო მასშტაბის სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა დაიწყო. თელავში, გორსა და ბათუმში 2017 წლის ბოლოს მულტიფუნქციური სპორტის სასახლეები გაიხსნება. სამივე პროექტის საერთო ღირებულება 33 775 000 დოლარია. პარალელურად, თბილისსა და ქუთაისში საფეხბურთო და სარაგბო 10 მოედნის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტის ღირებულებაა 10 700 000 ლარი. საერთო ჯამში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ყველა მშენებარე ობიექტზე დასაქმებულია 1 000-მდე ადამიანი.

იმავე დღეს მასობრივი სპორტის განვითარების ფარგლებში მინისტრმა თელავის სპორტსკოლის აღსაზრდელებს საფეხბურთო, სარაგბო, საკალათბურთო და ხელბურთის ფორმები და ინვენტარი გადასცა.

ბეჟან დოლიძე

◎ ჩოგბურთი

აფრიკელის ამერიკა

31 წლის სამხრეთაფრიკელი კევინ ანდერსონი კარიერაში პირველად ამერიკის ღია პირველობისა და, ზოგადად, დიდი სლემის ტურნირების ნახევარფინალში გავიდა.

მან მეოთხედფინალში სემ ქუერი 7:6, 6:7, 6:3, 7:6 დაამარცხა. კევინმა 6-დან 2 ბრეიკი შეასრულა, ხოლო სემმა – 2-დან ერთი. სამხრეთაფრიკელი გადამწყვეტ მომენტში უკეთესად თამაშობდა, რაც გამარჯვების მიზეზი გახდა.

ნახევარფინალში ანდერსონი 9 სექტემბერს ესპანელ კარენო-ბუსტას შეხვდება, ურთიერთშეხვედრებში კევინი მეტოქეს 2:0-ს ამარცხებს.

კოგა კოგახიძე

◎ ინტერნეტიდან

ბოლტი გვარიანად გამოთვრა

მსოფლიო სპორტის ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა, ჩვენი დროის ნამდვილმა ლეგენდამ, მორბენალმა უსაინ ბოლტმა ცოტა ხნის წინათ სპორტული კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო და ეს არცთუ საამო სიახლე, დაგვეთანხმებით, რომ 2017 წლის სპორტული ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი ამბავია.

მიუხედავად იმისა, რომ ლეგენდარულ იამაიკელ მორბენალს ალკოჰოლური სასმელები სპორტული კარიერის მიმდინარეობისას არასოდეს იზიდავდა, ბევრისთვის მოულოდნელად, უწარმატებულესი სპორტული კარიერის დასრულება ბოლტმა მეგობრებთან ერთად ბარში აღნიშნა და იქ ამბავი მოხდა, დედა შვილს რომ არ აიყვანდა ხელში....

როგორც ლონდონური ბარის მეპატრონემ აღნიშნა, უსაინმა და მისმა მეგობრებმა აურაცხელი შამპანური, ვისკი, ლუდი, კონიაკი და არაყი დალიეს. თავად უსაინი კონიაკით გამოთვრა და როგორც ჭეშმარიტ მასპინძელს შეჰფერის, სტუმრებს სულ ძალით ასმევდა, სასმელს. ბოლოს ერთი კაი იამაიკური სიმღერასაც შემოსძახა და სასტუმრომდე ძლივს მიათრია თავისი ზორბა სხეული.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ადამიანის სამყარო

რას აჩვენებს „კუდიანოსკოპი“?

გასული საუკუნის 80-იან წლებში ფიზიკოსებმა **დაამტკიცეს ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იცოდნენ: ბიოველი (ანუ ყველა ფიზიკური ველისა და გამოსხივების ერთობლიობა) ნამდვილად არსებობს და ყველა ადამიანს აქვს. ჩვენგან გამოსული გამოსხივების აღნუსხვა და გაზომვა სავსებით შესაძლებელია, ამ მონაცემთა გაანალიზებით სნეულების დადგენა და მისი წინასწარ განჭვრეტაც კი შეიძლება!**

საქვეყნოდ ცნობილი ფიზიკოსის, აკადემიკოს **იური გულიაევის** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოგონებაა ხელსაწყოთა კომპიუტერიზებული კომპლექსი, რომელსაც თავის დროზე ხუმრობით „კუდიანოსკოპი“ შეარქვეს და ის ადამიანის ფიზიკური ველებისა და გამოსხივების გასაზომად გამოიყენება. ერთ დროს სწორედ ამ ხელსაწყოებით ადგენდნენ, აქვს თუ არა ამა თუ იმ ექსტრასენსს ზებუნებრივი შესაძლებლობები.

— ამ ფენომენს პირველად გასული საუკუნის 70-იან წლებში გადავეყარე, როცა აკადემიკოსმა ი. კიკოინმა კოლეგებთან ერთად ვინმე **ნინელი კულაგინას** გასაცნობად მიმიწვია, რომელსაც... საგნების ხელშეუხებლად მათი გადაადგილება შეეძლო, — ამბობს სწავლული ფიზიკოსი. — მიწვეულ სტუმართა უმეტესობას კულაგინა თაღლითად მიაჩნდა, მაგრამ მის მიერ ნაჩვენებმა ცდებმა

დიდად დაგვაფიქრა. ყველანი დავრწმუნდით, რომ ამ ქალს საგნების მართვის უნარი ჰქონდა, მისი ხელის შეხება მსუბუქ დამწვრობას იწვევდა. ამის ახსნა კი ძნელი იყო...

შემდეგ, 1981 წელს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. მარჩუკმა პირადად ლეონიდ ბრეჟნევის სურვილი გადმომცა — მისი პირადი „ექიმი“, თბილისელი ასირიელი ქალი **ჯუნა დავითაშვილი** შემემოწმებინა: გენერალურ მდივანს აინტერესებდა — მართლა მკურნალობდა იგი მას თუ არა. ჩვენ მისტიკა „განზე გავწიეთ“ და იმაზე დავიწყეთ ფიქრი, თუ როგორ გაგვეზომა ადამიანისგან მომავალი გამოსხივება, რისთვისაც საგანგებო ხელსაწყოთა

კომპლექსი შევქმენით.

რაც შეეხება ზემონახსენებ ქალბატონებს — ნინელი კულაგინასა და ჯუნა დავითაშვილს, პირველი ჭეშმარიტად ფიზიოლოგიური ფენომენი იყო, იგი ხელისგულებიდან უარყოფითად დამუხტულ ოფლს აფრქვევდა, რომელიც საგანზე დაცემისას მას უარყოფითად მუხტავდა. თავად კულაგინას, ისევე, როგორც ყველა ადამიანს, უარყოფითი მუხტი ჰქონდა, რომელიც სიარულისას ხახუნის შედეგად მიიღება. ამ მუხტის ნაწილს იგი მსუბუქი საგნებისკენ მიმართავდა, რომლებსაც ელექტრულ ძალთა მეშვეობით გადაადგილებდა. სწორედ ამ მუხტის გამო იყო, რომ ხელის შეხებისას კანზე დამწვრობა ჩნდებოდა.

რაც შეეხება ჯუნა დავითაშვილს, მისი ფიზიკური ველებისა და გამოსხივებების გაზომვით დავასკვენით, რომ ისინი არაფრით განსხვავდებიან სხვა ადამიანთა ფიზიკური ველებისა და გამოსხივებებისგან. მაგრამ ჯუნა ტემპერატურათა სხვაობას 0,2 გრადუსის შემთხვევაშიც გრძნობდა, რასაც დანარჩენები მხოლოდ 0,4 გრადუსიდან გრძნობენ. იმის გამო, რომ დაავადებულ ორგანოს ტემპერატურა მომატებული აქვს, იგი სხეულზე ხელის ჩამოტარებით სნეულ ადგილს აგნებდა. საბოლოო დასკვნით, ჩვენ მივხვდით — **ექსტრასენსთა „საოცრებათა“ საფუძველს ჩვეულებრივი ფიზიკა წარმოადგენს**. ამ დასკვნის შედეგი იყო ის, რომ ადამიანის ექსტრასენსორულ შესაძლებლობათა შესასწავლად, თანამედროვე საზომითაც კი, უზარმაზარი სახსრები გამოიყო, რამაც შესაძლებელი გახადა შექმნილიყო ადამიანის ფიზიკური ველებისა და გამოსხივების დამდგენი უნიკალური ხელსაწყოები, რომელთა მეშვეობით ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ აუარება ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი.

დალი ხუნდაძე

გამოსათხოვარი

ოთარ ბრეგვაძე, მურიკო თოფურიძე, ვახტანგ ვეფხვაძე, ზაურ კვირკველია, თედო ჩხეიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ზურაბ ჯორჯაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

„პიქსელის“ შენობაში ქმარმა ცოლი ცივი იარაღით დაჭრა

თბილისში, ვაკეში მდებარე საავჭრო ცენტრ „პიქსელის“ შენობაში ქმარმა ცოლი ცივი იარაღით დაჭრა.

არსებული ინფორმაციით, მოგვიანებთ, ქმარმა თავადაც თვითდაზიანება მიიყენა.

ორივე მათგანი გადაყვანილია საავადმყოფოში.

გამოძიება 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სხეულის განზრახ დაზიანებას გულისხმობს.

მყინვარზე პოლონელი ტურისტი დაიღუპა

ყაზბეგში, მყინვარზე პოლონელი ტურისტი დაიღუპა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლითაა აღძრული, რაც სიცოცხლის მოსპობას გაუფრთხილებლობით გულისხმობს.

შსს-მ ნარკოდანაშაული გახსნა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, 1987 წელს დაბადებული ა.ჟ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ინტერნეტის საშუალებით სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას ახდენდა. ის შეკვეთებს ინტერნეტის მეშვეობით იღებდა და ნარკოტიკებს თბილისის სხვადასხვა უბანში, კონკრეტულ მისამართებზე დებდა.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, სარეალიზაციოდ გამზადებული 187,9236 გრამი კანაფის ფისი, 2 კილო და 399,53 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება — ე.წ. „ბიო“ ამოიღეს.

◎ რისკის ფაქტორი

„მძიმე დღეთა“ საფრთხეები

ნებისმიერი შეუძლოდ ყოფნის ახსნა იმით, რომ ატმოსფეროში „რაღაც ხდება“, აშკარად არაგონივრული და სახიფათოა, თუმცა ისიც კია, რომ ბუნების ძალთა ჩვენს ორგანიზმზე ზემოქმედების სათანადო შეუფასებლობაც არ ივარგებს.

ზოგი ჩვენგანი მაგნიტური ქარიშხლის მოახლოებას რამდენიმე დღით ადრე გრძნობს, ზოგის ორგანიზმი კი ფიზიკური მდგომარეობის გაუარესებას — ერთი-ორი, ან სულაც, მეტი დღის შემდეგ უჩივის. ამ ბუნებრივი მოვლენის განსხვავებული აღქმა ადამიანის ტემპერამენტზე, მის ქრონიკულ დაავადებებსა და მათი მკურნალობის სქემებზეც კია დამოკიდებული.

მაგნიტური ქარიშხალი ყველა ცოცხალ ორგანიზმზე მოქმედებს, ასეთ დღეებში ბევრ, სრულიად ჯანმრთელ ადამიანსაც კი არტერიული წნევა ეზრდება, ზოგიერთს ფეხები უმძიმდება, გულისცემა უჩქარდება, თვალებში „ქვიშა“ უჩნდება, ცუდი წინათგრძნობები ეძალება, სისხლში ჰემოგლობინისა და ერითროციტების შემცველობა უმცირდება, იცვლება ზოგიერთი ბიოქიმიური მაჩვენებელი.

ამასთან, ცნობილია, რომ მზის მაქსიმალური აქტივობის პერიოდებში დაბადებულ ადამიანებს, მაგნიტური ველის მუდმივი ზემოქმედების შედეგად, სხვებთან შედარებით გულის სისხლძარღვთა სისტემის უფრო მძაფრი რეაქცია აქვთ.

არსებობს სუსტი, ზომიერი და ძლიერი მაგნიტური ქარიშხლები, რომელთაგან ზოგი თანდათანობით, ზოგი კი უცბად იწყება. მრავალწლიანი დაკვირვებების შედეგად დადგინდა, რომ **ინფარქტების მაქსიმალური ოდენობა მაგნიტური ქარიშხლის განვითარების დაწყებიდან პირველ სამ დღე-ღამეზე მოდის**. ამ დღეებში ნელდება ცენტრალური ნერვული სისტემის სამუხრუჭე პროცესები, ასევე პირობითი რეფლექსები, მატულობს ავტოსაგზაო შემთხვევათა ოდენობა.

ამიტომაცაა, რომ **„მძიმე დღეთა“ პროგნოზს დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია არა მხოლოდ ქრონიკული დაავადებებით შეპყრობილთათვის, არამედ სრულიად ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც**. გამეორების შემთხვევაში არსებობს 7, 14 და 27-დღიანი, აგრეთვე 6-თვიანი ციკლები, ხოლო მაქსიმუმები შემოდგომისა და გაზაფხულის ბუნიაობის დღეებში (22 სექტემბერს და 22 მარტს), ხოლო მინიმუმები მზის ბუნიაობაზე (5 ივნისსა და 5 დეკემბერს) მოდის.

იმის გამო, რომ მაგნიტური ქარიშხლები უარყოფითად მოქმედებს არა მარტო გულისა და სისხლძარღვთა, არამედ საჭმლის მომნელებელ სისტემაზე (ამ დროს კუჭის მჟავიანობა მცირდება), ასეთ დღეებში (განსაკუთრებით, თუკი სავსემთვარეობას ემთხვევა), ექიმები **ყოველი ჭამის წინ ბოსტნეულისა და ხილის ახლად გამოწურული წვენების, მლაშე მინერალური ან ლიმონიანი წყლის დალევას გვირჩევენ. საღამოს საათებში კი უმჯობესია ნახშირწყლებით მდიდარი საკვების მიღება, თუმცა დაძინება უვახშმოდ იქნება სასურველი.**

ატმოსფერული მაგნიტური რხევებისადმი მგრძნობიარე ადამიანებს კვების რაციონში **თევზის, რძის, ზღვის კომბოსტოს, ბარდას, ლობიოს, სოიოს, ფეტვის, კანიანად მოხარშული კარტოფილის, შემწვარი ჭარხლისა და ვაშლის, ზაფხულში კი ხილისა და კენკრის შეტანას გვირჩევენ.**

ორგანიზმის საადაპტაციო შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად ზრდის **ჰაერისა და წყლის აბაზანები, გაკაჟების პროცედურები. შესაძლებლობებისდაგვარად მოერიდეთ სინთეტიკური ქსოვილისგან დამზადებული ტანსაცმლის, ზამთარში კი ბეწვეულის ტარებას.**

მოამზადა

ნინო ალექსანდრიამ

დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რეკორდული რაოდენობა აღირიცხა!

დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა 2017 წლის პირველ 8 თვეში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 32%-ით გაიზარდა და 726 296 შეადგინა.

2017 წლის 8 თვის მონაცემებით, ვიზიტორთა 58 % (423 528) ქართველია, 42% (302 768) კი – უცხოელი. წინა წელთან შედარებით ქართველი ვიზიტორების რაოდენობა 28%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა – 38%-ითაა გაზრდილი.

მხოლოდ აგვისტოს თვეში დაცული ტერიტორიები 227 541-მა ვიზიტორმა მოინახულა, რაც 43 000-ით მეტია, ვიდრე შარშან.

ჯამში, 2017 წლის პირველ რვა თვეში ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 73%-ით გაიზარდა და 2 956 645 ლარი შეადგინა.

კიჭას ტყუპები შეეძინა

თბილისის ზოოპარკს ახალი ბინადრები ჰყავს – ლემურს, სახელად კიჭას ტყუპები გაუჩნდა.

ინფორმაციას ამის შესახებ თბილისის ზოოპარკი ავრცელებს.

„ჩვენს ლემურს, ქალბატონ კიჭას ტყუპები გაუჩნდა. გუშინ პირველად გამოვუშვით გარე ვოლიერში და ახლა თქვენც შეგიძლიათ მობრძანდეთ და მოინახულოთ.

ერთადერთი ადგილი მსოფლიოში, სადაც ბუნებაში კატისებრი ლემურის ნახვაა შესაძლებელი, კუნძული მადაგასკარია. ამ ცხოველს სხვა სახეობის ლემურებისგან გრძელი, რგოლებით მოხატული კუდი განასხვავებს. აქტიურია დღის განმავლობაში. შესანიშნავად დაძვრება ხეებზე, თუმცა მიწაზეც დიდ დროს ატარებს. კატისებრი ლემურის სიცოცხლის ხანგრძლივობა 15 წელია“, – ვკითხულობთ ზოოპარკის Facebook გვერდზე.

რუბიკის კუბის აწყობაში ახალი რეკორდი დამყარდა



15 წლის ამერიკელმა მოზარდმა ახალი რეკორდი დაამყარა. პატრიკ პონსმა რუბიკის კუბი 4 წუთსა და 6 წამში ააწყო. წინა რეკორდი ავსტრალიელ ფელიქს ზემდეგს ეკუთვნის, რომელმაც მექანიკური თავსატეხი 4 წუთსა და 7 წამში ამოხსნა. რუბიკის კუბის აწყობის ჩემპიონატი მსოფლიოში რეგულარულად იმართება.

თვალები ზედმეტად რომ არ დაგეტვირთოთ

უმრავლესობა ჩვენგანს მჯდომარე სამუშაო აქვს, რა დროსაც არც ხელები, არც ფეხები, არც ზურგი დიდად არ იტვირთება, სამაგიეროდ, მთელი დატვირთვით მუშაობენ თვალები და ზედმეტადაც იძაბებიან. ამის შედეგად გვიუარესდება მხედველობა, გვიჩნდება შეშუპება, გვეწყება თვალების წვა და ბურუსი წარმოგვეშვება. ყველაფერი ეს თვალების დაღლილობის – ასთენოპიის შედეგია.

ამიტომაც, მედიკოსები დროდადრო თვალების დასვენების რჩევას გვაძლევენ, რა დროსაც მხედველობის ფოკუსირება უნდა მოვახდინოთ შორეულ პერსპექტივასა და საგნებზე. ასევე შეგიძლიათ მუშაობის ყოველი ორი საათის შემდეგ ორიოდე წუთის განმავლობაში თვალდახუჭული ჯდომა. თვალების დაღლილობას ასევე კარგად ხსნის ქუთუთოებზე თითების ბალიშების გადასმა ცხვირიდან მათ გარე კუთხეებამდე.

ასევე ძალიან სასარგებლოა მხედველობისთვის ე.წ. საოფისე ვარჯიში – დროდადრო სამუშაო სავარძელში საკუთარი თავის გარშემო შემოტრიალდით გაჩერებული მზერით. ეს და სხვა მარტივი ვარჯიშები დღეში რამდენჯერმე უნდა შეასრულოთ. მაგალითად, ამოძრაოთ თვალები მარჯვნივ და მარცხნივ, სწრაფად და მაგრად დახუჭოთ თვალები, მზერა მონაცვლეობით ახლოდან შორს მდებარე საგანზე გადაიტანეთ.

საუკეთესო კინოკომედია

კორპორაცია „ბიბისიმ“ 52 ქვეყნის 253 კინოკრიტიკოსი მოიწვია, რომ მათ დაესახელებინათ ყველა დროის 100 საუკეთესო კინოკომედია. მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ რომელი ქვეყნის იქნებოდა ფილმი ან რომელ წელს გადაღებული.

სიაში მოხვდა არაერთი გენიალური რეჟისორის ცნობილი ფილმი.

პირველ ადგილას კი უმრავლესობამ ყველასთვის საყვარელი 1959 წელს, ბილი უაილდერის მიერ გადაღებული კინოკლასიკა „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“ დაასახელა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

იცით თუ არა, რომ...

• ცირკის მოცეკვავე თეოდორა მე-6 საუკუნეში ბიზანტიის იმპერატრიცა არაჩვეულებრივი სილამაზის წყალობით გახდა?

• ეგვიპტის სახელოვანი დედოფლის, იულიუს კეისრის საყვარლისა და მარკუს ანტონიუსის მეუღლის, სილამაზის ეტალონად აღიარებული კლეოპატრა VII-ეს წინაპრები ეგვიპტეში ბალკანეთიდან ჩასული მაკედონიელები იყვნენ, რომლებიც ალექსანდრე დიდის ჯარის ავანგარდში მსახურობდნენ, ხოლო მისი მხედართმთავარი პტოლომეუს I მაკედონიური დინასტიის პირველი ფარაონი გახდა?

• მოსახლეობის ყველაზე დაბალი სიმკვრივე მსოფლიოს ქვეყნებს შორის მონღოლეთშია, სადაც 1 კვ.კმ ტერიტორიაზე 1,9 კაცი მოდის?

• დედამიწის საათობრივ სარტყელებად დაყოფის მცდელობები ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში დაიწყო, მაგრამ ამის რეალური საჭიროება მხოლოდ მე-19 საუკუნეში, მატარებლების მოძრაობის განრიგების შედგენისას გაჩნდა?

• **მსოფლიოში** ყველაზე პატარა ძაღლებია ჩიხუახუა, რომელთა სიმაღლე 15-დან 25 სმ-მდეა, ხოლო გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრილი ძუ მილი სულ 9,65 სმ-ის სიმაღლისა იყო?

• **მსოფლიოში** ყველაზე დიდი ბოტანიკური ბაღია კიუს სამეფო ბაღები ლონდონში, რომელიც, ფაქტობრივად, რამდენიმე ბაღის კომპლექსს წარმოადგენს და მასში, 132 ჰექტარ ფართობზე, 40 ათასზე მეტი მცენარეა წარმოდგენილი?

• **ვერცხლის** ყველაზე დიდი მარაგი მსოფლიოში სამხრეთ ამერიკაშია?

• **ტერმინი** „აკუსტიკა“ პირველმა მე-17 საუკუნის ფრანგმა მათემატიკოსმა ჟოზეფ სარვიორმა მოიგონა?

• **წყალი** დედამიწის მასის მხოლოდ 0,023 პროცენტს შეადგენს, თუმცა კი მისი ზედაპირის 71 პროცენტს ფარავს?

• **დედამიწაზე** ყველაზე დიდია ზღვის კუ, რომელიც 900 კგ-ს იწონის, ყელაზე პატარაა კაპის კოპლებიანი კუ, რომლის სიგრძე სულ 6 სმ-ია, ხოლო ფიტცროის კუს... ანუსიდან სუნთქვა შეუძლია – მისთვის საჭირო ჰაერის 70 პროცენტს იგი კლოაკიდან იღებს, ამიტომაც წყალქვეშ ყოფნა კვირეების მანძილზე შეუძლია?

მოამზადეს
რუსუდან ძოგულიამ
და ნანა ალექსანდრიამ

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4926; ევრო - 2.9662;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2299;
100 რუბლი - 4.3029; თურქული ლირა - 0.7236;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4678;
1000 სომხური დრამი - 5.2103.

ამინდი 7 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+23
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+23
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge